



## გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი  
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, დოქტორი აქსელ ბოეტციხერი  
პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე  
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე  
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა  
პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი  
პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი  
პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

## მთავარი რედაქტორი

ასისტენტი ანრი ოხანაშვილი  
(თსუ), LL.M. (იენა)

## შინაარსი

### სტატიები

#### დანაშაულის განვითარების სტადიები ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, საქართველოს უნივერსიტეტი/პროფესორი, სამართლის დოქ. *ბერნდ ჰაინრიხი*, თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი

62

#### ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *ლაფრენტი მალაქელიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

75

### სხვადასხვა

#### ანგარიში კონფერენციაზე: „სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეზარდება“ –

#### 2017 წლის 12-13 მაისი, თბილისი, საქართველო

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *თემურ ცქიტიშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

80



## სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი  
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეჯიის  
თავმჯდომარე ყოფილი მოსამართლე, დოქ.  
ბერნდ ასბროკი  
ბრემენის რაიონული სასამართლოს  
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ზესტი  
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი  
მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტტიხერი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. ნინო გვენეტაძე  
ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე  
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი  
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი  
LL.M. (ბერლინი)  
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი  
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე  
ადვოკატი დავიდ კონრადი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი  
მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი  
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლავრენტი მაღლაკელიძე  
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.  
(ფრაიბურგი)  
ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)  
დოქ. ანეკე პეტცშე  
დოქ. მარტინ პიაცენა  
დოქ. ეროლ პოლრაიხი  
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის  
საზღვარგარეთისა და სართაშორისო სისხლის  
სამართლის ინსტიტუტში, დოქ. იონა რინჩეანუ LL.M.  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი  
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე  
ტერეზა ტალჰამერი  
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
მოსამართლე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა  
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.  
(ჰამბურგი)  
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი  
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი  
ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული  
ასისტენტი მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)  
ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.  
(მიუნხენი)  
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი  
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

## ჟურნალის მესამე გამოცემის სამუშაო ჯგუფი

### თარგმანი:

ასოცირებული პროფ. სამართლის დოქ. ქეთევან  
მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M. (ფრაიბურგი)  
თამარი ასათიანი LL.M. (პასაუ)  
დავით ჩიხლაძე LL.M. (ბერლინი)

### სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

ლადო სირდაძე

### სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

დიპლომირებული იურისტი სიარდ ზეგეგერი  
სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა

### მესამე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ასისტენტი  
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)

### ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

# დანაშაულის განვითარების სტადიები ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში\*

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, საქართველოს უნივერსიტეტი/პროფესორი, სამართლის დოქ. *ბერნდ ჰაინრიხი*, თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი

## I. შესავალი

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილისა და ძირითადი დოგმატიკური სტრუქტურების მრავალი მსგავსების მიუხედავად, გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალს შორის ზოგიერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაც არსებობს და ზოგჯერ ღირს ამ მსგავსების გვერდით სამართლის მოცემული სისტემების განსხვავებათა გააზრება. ამგვარი განსხვავება განსაკუთრებით დანაშაულის განხორციელების სტადიების სფეროში მოინახება, ამიტომაც მოცემულ ნაშრომში სამართლის შედარების კუთხით გასაანალიზებლად სწორედ ეს საკითხი შევარჩიეთ. ამასთან, „დანაშაულის განვითარების სტადიების“ ცნებაში დანაშაულის დროში განვითარებას მოვიზრებთ, დამოუკიდებლად იმისა, ეს ცალკეული „საფეხური“ პირის დასჯადობას იწვევს თუ არა. ამგვარად, დანაშაული ლიტონი შინაგანი „დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღებით“ „იწყება“ (შეადარე ქვემოთ, II), რომელიც სამართლის ორივე სისტემაში, როგორც წესი, დაუსჯელია. სხვადასხვა შედეგამდე მივდივართ უკვე მეორე საფეხურზე, კერძოდ, დანაშაულის მომზადებისას (შეადარე ქვემოთ, III), რომელმაც გარკვეულ პირობებში შეიძლება დასჯადობა დააფუძნოს. მომდევნო საფეხურად განხილულია მცდელობა, ანუ ის მომენტი, როდესაც პირი უშუალოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელებას იწყებს (შეადარე ქვემოთ, IV). მცდელობას ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ფორმალური დამთავრება, ე. ი. დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის განხორციელება მოსდევს (შეადარე ქვემოთ, V). ქმედების ფორმალური დამთავრება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში დარეგულირებული დანა-

შაულის ცალკეული შემადგენლობის საგანია, რადგან მის შინაარსს სწორედ ცალკეული დანაშაულის დასრულებული შემადგენლობა წარმოადგენს. ამის გარდა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს დანაშაულის „მატერიალურ დამთავრებასაც“, შესაბამისად, მაგალითად, ქურდობისას ნადავლის საიმედოდ გადამაღვას (შეადარე ქვემოთ, VI).

ცალკეულ სტადიებთან დაკავშირებით შემდგომში წარმოდგენილ იქნება ჯერ გერმანული და შემდეგ ქართული სამართლებრივი მდგომარეობა და საბოლოოდ სამართლის ამ ორი სისტემის შესადარებლად ზოგიერთი შემთხვევა გაანალიზდება. ზოგადად, თვალში მოსახვედრია უპირველესად ის, რომ გერმანული სისხლის სამართალი, განსხვავებით ქართული სისხლის სამართლისაგან, დანაშაულის მომზადების ზოგად დელიქტს არ იცნობს, ასე რომ, დასჯადობის ზღვარი გერმანიაში, როგორც წესი, დანაშაულის მცდელობისასაა გადაბიჯებული. ქართული სისხლის სამართალი კი დელიქტის განსაზღვრული სიმძიმისას ხშირად უკვე დანაშაულებრივი ქმედების მომზადებას სჯის. ეს ფაქტი სხვა საკითხებთან ერთად მცდელობის დაწყების მომენტზეც ახდენს ზეგავლენას, რადგან სამართალი, რომელიც ქართული სისხლის სამართლის მსგავსად, დანაშაულის მომზადების ზოგად დელიქტს იცნობს, დანაშაულის მცდელობის დაწყების დროის თვალსაზრისით არ ჩქარობს. დანაშაულის მცდელობის დაწყება აქ ყოველგვარი პრობლემის გარეშე ძალიან გვიან შეიძლება დაფიქსირდეს, რადგან ქმედების მცდელობად შეფასების გარეშე ამსრულებლის დასჯა დანაშაულის მომზადებისათვისაა შესაძლებელი. სამაგიეროდ, თუ სისხლის სამართალი დანაშაულის მომზადების ამგვარ ზოგად დელიქტს არ ითვალისწინებს, როგორც ეს გერმანულ სამართალშია, მცდელობის დაწყების შორს გადაწევით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაწყისიც მეტად გვიან დაფიქსირდება. ბოლოს წარმოდგენილი იქნება, მიდის თუ არა სა-

\* სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრმა, ასოცირებულმა პროფესორმა სამართლის დოქტორმა *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხმა*.

მართლის ეს ორი სისტემა ამ დასკვნამდე. აღნიშნული პრობლემატიკის საილუსტრაციოდ, პირველ რიგში, ერთი პატარა შემთხვევა უნდა განვიხილოთ:

**მაგალითი 1:** პირი გადაცოცდება დიდი ბალის ლობზე, სადაც ვილა დგას. მისი მიზანი ამ ვილაში შეღწევა და ხელოვნების ნიმუშთა მოპარვაა. ვილაში შეღწევამდე ბალში სიგნალიზაცია ჩაირთვება და პირს პოლიცია დააკავებს. საკითხავია, ლობზე გადაცოცება შეღწევით ქურდობის მცდელობის დაწყებაა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის<sup>1</sup> §§ 242, 244 I № 3, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ ქვეპუნქტი) თუ ეს მხოლოდ დანაშაულის მომზადებაა? თუ აქ, პირის მიერ ჩადენილი ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის (გერმანიის სსკ-ის §123, საქართველოს სსკ-ის 160-ე მუხლი<sup>2</sup>) გარდა, დაგეგმილი შეღწევით ქურდობისათვის დასჯაა სასურველი, მცდელობის დაწყება გერმანიაში უკვე ბალის ლობზე გადაცოცებით უნდა იქნას აღიარებული, რადგან სხვაგვარად მხოლოდ დაუსჯელი მომზადება გვექნება. მაგრამ როდესაც სამართლის სისტემა დანაშაულის მომზადების ზოგად დასჯადობას იცნობს, როგორც ეს საქართველოშია, პრობლემა გაცილებით ადვილად წყდება. თუ მცდელობის დაწყებას ლობზე გადაცოცებისას უარყოფთ, პირის დასჯა, სულ მცირე, დანაშაულის მომზადებისათვისაა შესაძლებელი. მართლაც, ქართული სისხლის სამართალი სსკ-ის მე-18 მუხლის პირველ ნაწილში ზოგადად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების დასჯადობას ითვალისწინებს და ისეთი მოსამზადებელი ქმედებების დასჯის შესაძლებლობას იძლევა, როგორცაა, მაგალითად, ბალის ლობზე გადაცოცება ხელოვნების ნიმუშთა მოპარვის მიზნით (შეღწევით ქურდობა მძიმე დანაშაულია, რადგან მისი სანქციის ფარგლები შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). ამიტომაც მცდელობის დასჯადობის მოშველიება არაა საჭირო.

<sup>1</sup> ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

<sup>2</sup> ქართული შეხედულებით, შეღწევით ქურდობის სამართლებრივი შეფასებისას ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა დამოუკიდებლად არ განიხილება, რადგან ის შეღწევით ქურდობის შემადგენლობაში შედის. პირი შეღწევით ქურდობის მომზადებისათვის დაისჯება და საქმის გარემოების ამ ნიშნის ორმაგად შეფასება უსამართლობად აღიქმება.

## II. დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღება

დანაშაულის განხორციელების პირველი სტადიაა პირის ლიტონი, გარეგნულად შეუცნობელი გადაწყვეტილება დანაშაულის ჩადენის შესახებ.

**მაგალითი 2:** მას შემდეგ, რაც პირმა ნაცნობისაგან გაიგო, რომ მისი მეზობელი ორი კვირით დასასვენებლად მიდის და სანდო წყაროსაგან შეიტყო, რომ ეს მეზობელი სახლში, სეიფში, დიდი ოდენობით ფულს ინახავს, მან თავის სახლში ტახტზე მჯდომმა მომავალ პარასკევს მეზობლის ბინაში შესვლა და ფულის მოპარვა გადაწყვიტა.

ეს ლიტონი გადაწყვეტილება, როგორც წმინდა შინაგანი პროცესი, რომელიც გარე სამყაროში არანაირად არაა გაცხადებული, როგორც გერმანულ, ასევე ქართულ სამართალში დაუსჯელი რჩება.<sup>3</sup> პირი არ შეიძლება მხოლოდ მისი აზრისათვის დაისაჯოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა ლიტონი განწყობის დასჯადობა, რაც როგორც გერმანული, ასევე ქართული სისხლის სამართლისათვის უცხოა.<sup>4</sup> არაფერი შეიცვლებოდა მაშინაც, თუ პირი თავის აზრებს, მაგალითად, დღიურში ჩანერდა. იგი ასევე არ დაისჯება დაგეგმილი დანაშაულის შესახებ შენიშვნების ჩანერისასაც, სულ მცირე, იქამდე, სანამ იგი (გერმანული სამართლის თავისებურება) დანაშაულის ჩადენის სურვილს სხვა პირს არ გაუმჟღავნებს (იხ. ქვემოთ, III, გერმანიის სსკ-ის §30) ან თანამონაწილეობისათვის მის გადაბირებას არ შეეცდება.

<sup>3</sup> გერმანული სისხლის სამართლისათვის იხ.: *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil*, 5. Aufl. 2016, Rn. 702; *Kindhäuser, Urs, Strafrecht Allgemeiner Teil*, 6. Aufl. 2015, § 22 Rn. 1; *Krey, Volker/Esser, Robert, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil*, 5. Aufl. 2012, Rn. 1193; *Leipziger Kommentar (LK) zum Strafgesetzbuch-Hillenkamp, Thomas*, 12. Aufl. 2007, vor § 22 Rn. 3; ქართული სისხლის სამართლისათვის იხ.: *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამ., 2008, გვ. 154; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი მეორე, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. ველი 27.

<sup>4</sup> გერმანული სისხლის სამართლისათვის *Rath, Jürgen, Juristische Schulung (JuS) 1998, 1006, 1007*; ქართული სისხლის სამართლისათვის *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამ., 2008, გვ. 154.

### III. მოსამზადებელი ქმედებები

დანაშაულის განვითარების მეორე სტადიად ლიტონი **მოსამზადებელი ქმედებები** ითვლება. აქ იგულისხმება ამსრულებლის მიერ დელიქტის განხორციელების მომზადება ამ მოსამზადებელი ქმედების შემდეგ დანაშაულის უშუალოდ განხორციელების გარეშე. აქაც დასახელებულ **მაგალითს** უნდა მივმართოთ:

**მაგალითი 2ა:** შელწევით ქურდობის დაგეგმვის შემდეგ პირი მეზობლის შესასვლელი კარის გასახსნელად მოხრილ მავთულს შეიძენს. ამის გარდა, რკინა-კავეულის მაღაზიაში იყიდის რკინის ძალაყინს, რომლითაც მას სეიფის გატეხა სურს. საბოლოოდ, იმის დასადგენად, მეზობელი მართლაც ნავიდა დასასვენებლად თუ არა, იგი ყალბი სახელით მეზობლის მეგობარს დაურეკავს.<sup>5</sup>

#### 1. გერმანული სამართლებრივი მდგომარეობა

დასახელებული მოქმედებები ლიტონი მოსამზადებელი ქმედებებია, რომლებიც დანაშაულის ფაქტობრივ ჩადენას დროში წინ უსწრებენ. ერთპიროვნული ამსრულებლისათვის ეს ქმედებები გერმანულ სამართალში ყოველთვის დაუსჯელია იმ დასაბუთებით, რომ ამ დროისათვის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტული საფრთხე ჯერ არ არსებობს.<sup>6</sup> გერმანულ სისხლის სამართალში ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ განხორციელებული მოსამზადებელი ქმედება მხოლოდ იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში **კერძო შემად-**

**გენლობაშია** გათვალისწინებული. კანონმდებელი ამისათვის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ან დამატებით სისხლისსამართლებრივ კანონებში განსაკუთრებულ **ხელყოფის წინარე ეტაპის შემადგენლობებს ქმნის**.

**მაგალითები:** გერმანიის სსკ-ის §83 (ლალატის მომზადება), გერმანიის სსკ-ის §234 ა III (ადამიანის გატაცების მომზადება) და გერმანიის სსკ-ის §149 (ფულის და ფასიანი ქაღალდების გაყალბების მომზადება).

შესაბამისად, მას, ვინც ყალბი ფულის დასაბეჭდად საბეჭდ ფორმასა და სპეციალურ ქაღალდს შეიძენს, დაეკისრება პასუხისმგებლობა მხოლოდ საბეჭდი ფორმის დამზადების ან სპეციალური ქაღალდის ყიდვისათვის გერმანიის სსკ-ის §149 მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ მას ყალბი ფულის დამზადება რეალურად ჯერ არ დაუწყია. თუ იგი ყალბი ფულის დამზადებას დაიწყებს, გვექნება გერმანიის სსკ-ის §146, ყალბი ფულის დამზადების მცდელობა ან დამთავრებული დანაშაული. ეს ქმედება დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან თხუთმეტ წლამდე. პირის მიერ მხოლოდ დასაბეჭდი ფორმის ან სპეციალური ქაღალდის დამზადებისას და ყალბი ფულის დამზადების დაწყებამდე პოლიციის მიერ მხილებისას კი სახეზე მხოლოდ მოსამზადებელი ქმედება იქნება, რომელიც დაისჯება გერმანიის სსკ-ის §149-ის, წმინდა „ხელყოფის წინარე ეტაპის შემადგენლობის“ არსებობის გამო. სხვათა შორის, ამ მომზადების დელიქტის სასჯელი გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე დამთავრებული დელიქტისა: თუ ყალბი ფულის დამზადების დამთავრებული დანაშაულისათვის ერთიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, მომზადების დელიქტისათვის ამსრულებლის დასჯა მხოლოდ ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით შეიძლება.

ხელყოფამდელი კრიმინალური მაქინაციებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, ანუ მაშინ, როდესაც რამდენიმე ამსრულებელი დანაშაულის ჩადენას ერთობლივად გეგმავს, კანონმდებელი ამ შეთანხმებას უკვე დასჯადად აცხადებს. გერმანიის სსკ-ის §30 II მიხედვით,<sup>7</sup> დანაშაულებრივი შეთანხ-

<sup>5</sup> მოსამზადებელ ქმედებათა სხვა მაგალითები გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით *Krey, Volker/Esser, Robert, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Aufl. 2012, Rn. 1193*; შდრ. ასევე სასამართლო პრაქტიკიდან *Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 28, 162*; *Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTZ) 1989, 473*; *Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTZ) 1996, 38*.

<sup>6</sup> *Kindhäuser, Urs, Strafrecht Allgemeiner Teil, 6. Aufl. 2015, § 22 Rn. 19*; *Krey, Volker/Esser, Robert, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Aufl. 2012, Rn. 1225*; *Kühl, Kristian, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl. 2012, § 14 Rn. 13, 85*; *Stratenwerth Günter/Kuhlen, Lothar, Strafrecht Allgemeiner Teil, 6. Aufl. 2011, § 11 Rn. 6 ff.*

<sup>7</sup> გერმანიის სსკ-ის §30 რეგულაციის მიხედვით, (1) „ვინც შეეცდება სხვის იძულებას, რათა მან ჩაიდინოს დანაშაული ან წააქეზოს მის ჩასადენად, დაისჯება დანაშაულის

მებისათვის დაისჯება, ვინც სერიოზულად გამოაცხადებს მზაობას, სხვის შემოთავაზებას მიიღებს ან ვინმეს დანაშაულის ჩადენას შეუთანხმებს. ეს მოლაპარაკება თავისთავად ლიტონი მოსამზადებელი ქმედებაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონმდებელმა იგი საშიშროების გამო გერმანიის სსკ-ის §30 II-ში, ე. ი. სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, სპეციალურ დამოუკიდებელ რეგულაციაში დასჯადად გამოაცხადა. თუმცა საჭიროა, რომ დაგეგმილი ქმედებისას რეალურად რამდენიმე პირის მიერ დაგეგმილ დანაშაულზე იყოს საუბარი. ამგვარი დანაშაული, გერმანიის სსკ-ის §12 I მიხედვით, მაშინაა სახეზე, როდესაც შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობისათვის, **სულ მცირე, ერთი წლის** თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული.

რამდენიმე პირის მიერ **დანაშაულის შეთანხმების** გვერდით, გერმანიის სსკ-ის §30 II პირველი ვარიანტის მიხედვით, საკმარისია, თუ პირი ვინმეს განუცხადებს, რომ იგი მზადაა დანაშაულის ერთპიროვნულად ჩასადენად. ამის გარდა, გერმანიის სსკ-ის §30 II მე-2 ვარიანტით, საკმარისია პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ „სხვა პირის წინადადების მიღებაც“. გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, ქმედება უკვე დასჯადია მაშინ, როდესაც ვინმე ანაზღაურების სანაცვლოდ სხვას განსაზღვრული პირის მოკვლას სერიოზულად შესთავაზებს. დასჯადია, შესაბამისად, ამ შეთავაზების მიღებაც იმ პირის მიერ, ვისაც ამ წინადადებით მიმართეს. ორივე პირი სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელია ზოგადი, ხელყოფის წინარე ეტაპის ნორმის, §30 II მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, შემდგომში ფაქტობრივად დანაშაულის მცდელობა ან რაიმე მოსამზადებელი ქმედება განხორციელდა თუ არა. გერმანიის სსკ-ის §30 გერმანული სისხლის სამართლის კუროზია, რომელსაც ამ ფორმით სისხლის სამართლის სისტემათა მხოლოდ მცირე ნაწილი იცნობს და მომზადების დასჯადობის მეტად შორეულ სტადიაზე გადატანის გამო გერმანულ ლიტერატურაში მკაცრადაა გაკრიტიკებული.

მცდელობის წესების მიხედვით. თუმცა სასჯელი, §49 პირველი აბზაცის მიხედვით, უნდა შემსუბუქდეს. შესაბამისად ძალაშია §23-ის მე-3 აბზაცი. (2) ასევე დაისჯება ის, ვინც მზაობას გამოაცხადებს, სხვის შეთავაზებას მიიღებს ან ვინც სხვას დანაშაულის ჩადენას ან ნაქეზებას შეუთანხმებს. შდრ. გერმანიის სსკ-ის §30-ის შექმნა და მისი არსი *Kühl, Kristian, Juristische Schulung (JuS) 1979, 874, 874 f.*

ამ შემადგენლობის წარმოშობის საფუძველი იყო პოლიტიკური მოვლენა, რომელსაც თითქმის 140 წლის წინ ჰქონდა ადგილი: ერთმა მუშამ, გვარად დუშენმა („Duchesne“), პარიზის მთავარ ეპისკოპოსს დიდი თანხის სანაცვლოდ გერმანიის რაიხის კანცლერის ანტიეკლესიური პოლიტიკის გამო მისი მოკვლა შესთავაზა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოფოთებულმა პარიზის მთავარმა ეპისკოპოსმა ეს „შეთავაზება“ უარყო, გერმანიის რაიხის კანცლერი და, ალბათ, ასევე გერმანიის პარლამენტიც ამ ამბის გამო ისე შეძრწუნდა, რომ იმ დროიდან მოყოლებული სხვისათვის დანაშაულის ჩადენის მხოლოდ შეთავაზებაც დასჯადად იქნა აღიარებული.

თუმცა ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანიის სსკ-ის §31 I დანაშაულზე ხელის აღების სპეციალურ დათქმას მოიცავს. შესაბამისად, „§30-ის მიხედვით არ დაისჯება ის, ვინც ნებაყოფლობით 1. ხელს აიღებს სხვა პირის დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიებაზე და სხვის მიერ დანაშაულის ჩადენის არსებულ შესაძლო საფრთხეს თავიდან აიცილებს. 2. დანაშაულის ჩადენისთვის მზაობის გამოცხადების შემდეგ თავის გადაწყვეტილებაზე ხელს აიღებს. 3. დანაშაულის ჩადენის შეთანხმების ანდა დანაშაულის ჩადენის შეთავაზების მიღების შემდეგ დანაშაულს თავიდან აიცილებს.“ გერმანიის სსკ-ის §31 II დამაზუსტებელ რეგულაციასაც მოიცავს – „თუ ქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღების ჩარევის გარეშე არ განხორციელდება ანდა მისი წარსული ქმედებისგან დამოუკიდებლად იქნება ჩადენილი, დაუსჯელობისათვის საკმარისია დანაშაულის ჩადენის ხელის შეშლის ნებაყოფლობითი და სერიოზული მცდელობა.“

## 2. ქართული სამართლებრივი მდგომარეობა

მოქმედი ქართული სისხლის სამართალი, გერმანული სისხლის სამართლის მსგავსად, დანაშაულის მომზადების დასჯადობის ორ კონსტრუქციას იცნობს, კერძოდ, როგორც ზოგად, სისხლის სამართლის მთელი კოდექსის გამწვდომ, ფრჩხილებს გარეთ გატანილ დასჯადობას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლში (დანაშაულის მომზადება),<sup>8</sup> ასევე განსაზ-

<sup>8</sup> საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მიხედვით, „1. დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათ-

ღვრული ქმედებების შერჩევით დასჯადობას, რომლებიც, როგორც დამოუკიდებელი შემადგენლობა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილშია განთავსებული. აქ უნდა დავასახელოთ, მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის IV ნაწილი (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება), საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლი (ბანდიტიზმი) და საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლი (აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება).

მომზადების ზოგად დასჯადობასთან დაკავშირებით გადამწყვეტია ის, რომ საქართველოს სსკ-ის მე-18 I მუხლი არა ყველა, არამედ მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე და საქართველოს სსკ-ის მე-18 II მუხლში პირდაპირ გათვალისწინებულ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე ვრცელდება.

საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლის მეორე ნაწილით (დანაშაულის კატეგორიები), ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით (საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი). განსაკუთრებით მძიმეა ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

**მაგალითები:** მაქსიმალური სასჯელი ქურდობის ძირითადი შემადგენლობისათვის (საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი) 3 წლით

ვის პირობების განზრახ შექმნა. 2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების, აგრეთვე ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 221-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების მომზადებისათვის.“

თავისუფლების აღკვეთაა. ამის გამო ეს ქმედება, საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით, ნაკლებად მძიმე დანაშაულია. რადგან საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი „მარტივი“ ქურდობის მომზადებას დასჯადად პირდაპირ არ აცხადებს, ქურდობის მომზადება დასჯადი არაა. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა) კი ყაჩაღობის ძირითადი შემადგენლობისათვის მაქსიმალური სასჯელი 7 წლით თავისუფლების აღკვეთაა, ამიტომაც ყაჩაღობა მძიმე კატეგორიის დანაშაულებს მიეკუთვნება. მკვლელობის (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლი) მაქსიმალური სასჯელი 15 წლით თავისუფლების აღკვეთაა, ამიტომაც მკვლელობა გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმის გამო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს მიეკუთვნება. შესაბამისად, ამ უკანასკნელი დანაშაულების მომზადება, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით, დასჯადია.

შორეული მოსამზადებელი ქმედებების დასჯადობის თავიდან ასაცილებლად სისხლის სამართლის თეორია იძულებულია რეფორმირებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მომზადების (მეტად წელვადი) საკანონმდებლო განმარტება დააკონკრეტოს. მომზადების დღევანდელი განმარტების საფუძველზე დასჯადობა სურვილისამებრ შეიძლება ამსრულებლის ნებისმიერ შემადგენლობამდელ ქმედებაზე გავრცელდეს. იგი დანაშაულის დაგეგმვის და მომზადების გამიჯვნის მასშტაბს არ იძლევა. ამიტომაც დანაშაულის მომზადების საზღვარდაუდებელი განვრცობის შესაზღუდად დოგმატიკაში შემოთავაზებულია დანაშაულის მომზადების **რესტრიქციული განმარტება** სუბიექტურ და ობიექტურ დონეზე.<sup>9</sup> ამასთან, არის იმ ერთიანი კრიტერიუმის შემუშავების მცდელობები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების მომზადების დასჯადი და დაუსჯელი სფეროები, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, კი დანაშაულის ჩადენის გადამწყვეტილების მიღება და მისი დაგეგმვა,

<sup>9</sup> *წერეთელი, თინათინ*, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, 2007, გვ. 387; *დვალიძე, ირაკლი*, წიგნში: ნაჭყებია, გურამ/დვალიძე ირაკლი (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, 2007 წელი, გვ. 157; *სურგულაძე, ლამარა*, სისხლის სამართალი, დანაშაული, 2005, გვ. 302-303.

რომელიც დაუსჯელადაა აღიარებული. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ასევე ნაკლებად მძიმე დანაშაულის დაუსჯელი მომზადება და მისი მცდელობა, რომელიც, როგორც წესი, დასჯადია.

დანაშაულის მომზადების დასჯადობა **სუბიექტურ დონეზე** „დანაშაულის გეგმის დაკონკრეტების“ მოთხოვნით იზღუდება. დანაშაულის მომზადების (რომელიც, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მიხედვით, ნაწილობრივ დასჯადია) და დანაშაულის ზოგადი დაგეგმვის (რომელიც, როგორც წესი, დაუსჯელია) ერთმანეთისაგან გასამიჯნად აუცილებელია, რომ კონკრეტული დანაშაულის მომზადებისას ქმედების გეგმა, სულ მცირე, მის ზოგად კონტურებში იყოს დაფიქსირებული. ამგვარად, არ გვაქვს დანაშაულის მომზადება მაშინ, როდესაც პირს იარაღი კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად არ შეუძენია და ქმედების გეგმას ჯერ ხელშესახები კონტურები არ მიუღია. მაგალითად, თუ პირმა იარაღი რაიმე ყაჩაღური თავდასხმის განსახორციელებლად კი შეიძინა, მაგრამ დანაშაულის მსხვერპლი მას ჯერ არ შეურჩევია. მომზადებისას განზრახვა დაგეგმილი დანაშაულის ყველა მნიშვნელოვან ნიშანს უნდა მოიცავდეს.<sup>10</sup> არ დაისჯება მოსამზადებელი ქმედება, რომელმაც დაგეგმვის ზღვარს კი გადააბიჯა, მაგრამ ჯერ კიდევ სოციალური ადეკვატურობის ფარგლებშია. **მაგალითი 3:** ბრუნომ თავისი ცოლის, ბერტას მოსაკლავად სამზარეულოს დანა იყიდა. თავისთავად დანის ყიდვით მან მოამზადა თავისი ცოლის მკვლელობა ან მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში. თუმცა მისი ქმედება განზრახვის აშკარა გამომჟღავნებამდე სოციალურად ადეკვატურია.

დანაშაულის მომზადების დასჯადობის **ობიექტურ დონეზე** შესაზღუდად შემდეგ ელემენტებს უნდა გაესვას ხაზი: დანაშაულის მომზადების განმარტების კონკრეტიზაცია, შემთხვევათა ჯგუფების ჩამოყალიბება და, კუმულაციურად, ხელყოფამდელი ქმედებების სოციალური ადეკვატურობის არარსებობის მოთხოვნა. დანაშაულის მომზადება გაიგება, როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღის გამოძებნა თუ მომარჯვება. (ეს ნაწილობრივ ძველი სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში მოცემულ დანაშაულის მომზადების განმარტებას

შეესაბამება).<sup>11</sup> შემთხვევათა ჯგუფებში კი ასახელებენ შემდეგ დასჯად მომზადების ქმედებებს: თანამონაწილეთა გამოძებნა, ყალბი გასაღების დამზადება ან სიგნალიზაციის გამორთვა ბინაში შეღწევისათვის, მსხვერპლისათვის ჩასაფრება დანაშაულის ჩადენის მიზნით ან სასამართლო მოწამვლა პირის მოსაკლავად, ამის გარდა, მსხვერპლის მიმართ დანაშაულის ჩასადენად მის უკაცრიელ ადგილას გატყუება, პისტოლეტის დატენა ან ბინაში შეღწევა პირის მოსაკლავად.<sup>12</sup>

მხოლოდ დასახელებული შემთხვევათა ჯგუფები, დანაშაულის მომზადების დაკონკრეტებულ დეფინიციასთან ერთად, ყველა დასჯადი და დაუსჯელი შემადგენლობამდელი ქმედების გამიჯვნის გამოსადეგ ინსტრუმენტს არ იძლევა, ამიტომაც ცალსახად ასევე ქმედების სოციალური ადეკვატურობის არარსებობაცაა აუცილებელი.<sup>13</sup>

აქედან გამომდინარე, დანაშაულის მომზადების დასჯადობის შეზღუდვა, რომელიც აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, შესაძლებელია მხოლოდ დასჯადი ქმედებებისაგან სოციალურად ადეკვატური მოსამზადებელი ქმედებების გამოყოფით, თუნდაც ზოგიერთი სამართლებრივი გაურკვევლობის საფრთხის ფასად, რასაც ამგვარ ნეიტრალურ ქმედებაზე დაყრდნობა შეიძლება მოიცავდეს. მოსამზადებელი ქმედებების დასჯადობის შეზღუდვის შესაძლებლობა იქნებოდა ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში უკვე შემოთავაზებულ მცდელობასთან სიახლოვე ანდა **დანაშაულის მომზადების სიაშკარავე**. ქმედება მაშინ უნდა ჩაითვალოს მომზადებად, როდესაც ჩადენილი ქმედება სოციალურად ადეკვატური აღარაა, როდესაც ის არაორაზროვნად მიუთითებს პირის მიზანზე<sup>14</sup> ანდა ქმედებისათვის საჭირო საშუალება

<sup>11</sup> *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამ., 2008, გვ. 154; *სურგულაძე, ლამარა*, სისხლის სამართალი, დანაშაული, 2005, გვ. 302.

<sup>12</sup> *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამ., 2008, გვ. 156; *დვალიძე, ირაკლი*, ნიგნში: ნაჭყებია გურამ/დვალიძე ირაკლი (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, 2007 წელი, გვ. 157, გვ. 158.

<sup>13</sup> *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ნიგნი მეორე, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. ველი 38.

<sup>14</sup> *Heinrich, Bernd*, Strafrecht Allgemeiner Teil, 5. Aufl. 2016, Rn. 726; *Spotovsky, Andrzej*, in: *Jescheck, Hans-Heinrich*

<sup>10</sup> *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამ., 2008, გვ. 155.



ისეა მომარჯვებული, რომ პირს თავისი ქმედების „ახსნა დამაჯერებლად აღარ შეუძლია“.<sup>15</sup> იქამდე, სანამ პირს სოციალური ადეკვატურობის საზღვარი ჯერ არ გადაულახავს, მისი ქმედება პირად სფეროში რჩება და არ უნდა დაისაჯოს.

აქედან გამომდინარე, დასჯადი მომზადებისათვის საჭიროდ უნდა ჩაითვალოს დანაშაულის შემადგენლობის შესასრულებლად საჭირო ყველა პირობის შექმნა (საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი) და, კუმულაციურად, ჩადენილი ქმედებების სოციალური ადეკვატურობის არარსებობა. სოციალური ადეკვატურობის არარსებობა ერთპიროვნული ამსრულებლობისას ობიექტურად გაგებულ მცდელობასთან (როგორც წესი, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყება) სიახლოვეში გამოიხატება.<sup>16</sup> აქედან გამომდინარე, დანაშაულის მომზადება მხოლოდ მაშინ დაისჯება, როდესაც იგი სამართლებრივი სიკეთისათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.<sup>17</sup> ზემოთ მოყვანილ მომზადების მაგალითში ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ ბინის პატრონის მეგობრისთვის ტელეფონზე დარეკვის მიუხედავად, განხორციელებული მომზადების დასჯადობა გამოირიცხება, რადგან მხოლოდ ჩადენილი ქმედებანი, დანაშაულის ჩადენის ადგილთან დროული და სივრცითი სიშორის გადაულახავად, ე. ი. დანაშაულის მცდელობასთან მიახლოების გარეშე, დასჯად მომზადებას არ წარმოადგენს.

დღევანდელ ქართულ სისხლის სამართლის პრაქტიკაში ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ

დანაშაულის მომზადებაზე განაჩენის მოძიება არ მოხერხდა. ასევე იშვიათია განაჩენები რამდენიმე თანამონაწილის მიერ განხორციელებული დანაშაულის მომზადების დასჯადობის შესახებ.<sup>18</sup> თუმცა უნდა დავასახელოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ორი განაჩენი დანაშაულის მომზადებაზე, რომლის დროსაც თანაამსრულებლებს და თანამონაწილებს სამართლებრივ სიკეთესთან დროითი და სივრცითი ბარიერი ჯერ არ გადაულახავთ, მაგრამ სოციალური ადეკვატურობის საზღვარს კარგა ხანია გადააბიჯეს. ერთ შემთხვევაში ერთმა თანაამსრულებელმა ტერორისტული აქტის ჩასადენად ასაფეთქებელი ნივთიერება შეიძინა, მეორე თანაამსრულებელი კი ამ ნივთიერებით დედაქალაქში მიდიოდა იმავე დღეს ტერორისტული აქტის განსახორციელებლად (სსკ-ის მე-18, 323-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა ქვეპუნქტის მიხედვით, დასჯადია ტერორისტული აქტის ჩადენა ჯგუფურად).<sup>19</sup> მეორე შემთხვევაში კი პირი დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფური მკვლელობის მომზადებისათვის დაისაჯა, რადგან მან მსხვერპლთა ცხოვრების პირობები, ჩვეულებები და მეგობართა წრე გამოიკვლია და მკვლელობის იარაღის ყიდვას ცდილობდა, როდესაც იგი დააკავეს. ჩადენილი ქმედებები შეფასებულ იქნა როგორც არასრულწლოვნის მკვლელობის მომზადება ჯგუფურად (სსკ-ის მე-18, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ და ე ქვეპუნქტებით) და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნის მცდელობა (სსკ-ის მე-19, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით).<sup>20</sup>

გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ქართულში დანაშაულის მომზადებისას ხელის აღების სპეციალური რეგულაცია არ არსებობს, თუმცა ეს არაა ხელის შემშლელი, რადგან არსებობს ზოგადი რეგულაცია დაუმთავრებელ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ, რომელიც მოიცავს როგორც დანაშაულის მომზადებას, ასევე მცდელობას.

(Hrsg.), Die Vorverlagerung des Strafrechtsschutzes durch Gefährdungs- und Unternehmensdelikte, 1987, S. 126.

<sup>15</sup> გერმანულ სისხლის სამართლის თეორიაში *ჰაინრიხის* მიერ ჩამოყალიბებული მოსახერხებელი მოკლე ფორმულა დანაშაულის მცდელობის დასაწყისის შესახებ (იხ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 5. Aufl. 2016, Rn. 726*) შესაძლებელია ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის მომზადების დასაწყისის ფორმულად განვიხილოთ.

<sup>16</sup> მომზადების ამგვარი შეზღუდული განმარტება და მცდელობასთან სიახლოვე *გამყრელიძის* მიხედვით საბჭოთა სისხლის სამართლის პრაქტიკაშიც იყო გათვალისწინებული. იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამ., 2008, გვ. 159.

<sup>17</sup> შდრ. *შავგულიძე, თამაზ*, აუცილებელი მოგერიება, 1966, გვ. 77 (რუსულად); *შავგულიძე, თამაზ/ურგულაძე, ლამარა*, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 1988, გვ. 75.

<sup>18</sup> უღრმეს მადლობას ვუხდით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს *ბადრი კოჭლამაზაშვილს* დანაშაულის მომზადებაზე საქალაქო სასამართლოს განაჩენების მოწოდებისათვის.

<sup>19</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.11.2011 განაჩენი №1/5322-11 და №074118178.

<sup>20</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.9.2009 განაჩენი №1/1113-09.

### 3. შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა

შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით, შესაძლებელია ითქვას, რომ როგორც გერმანულ, ასევე ქართულ სისხლის სამართალში ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ განხორციელებულ მოსამზადებელ ქმედებებს დასჯადობამდე ყოველთვის არ მივყავართ. გარდა ამისა, გერმანიის სისხლის სამართალი გერმანიის სსკ-ის §30-ში ზოგად გამოწვევის – რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის დაგეგმვას და ასევე გერმანიის სსკ-ის კერძო ნაწილში მომზადების ცალკეულ სპეციალურ შემადგენლობებს ითვალისწინებს. ამის საპირისპიროდ, ქართული სისხლის სამართალი კერძო ნაწილის მსგავსი შემადგენლობების გვერდით საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლში დანაშაულის მომზადების ზოგად შემადგენლობას იცნობს, რომელიც დელიქტის სიმძიმესთანა დაკავშირებული, მაგრამ, საყოველთაო მოსაზრებით, შეზღუდულად უნდა განიმარტოს. გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ეს ზოგადი შემადგენლობა რამდენიმე პირის ქმედებით არ შემოიფარგლება და თეორიულად ასევე ერთპიროვნულ ამსრულებელსაც მოიცავს. ამასთან, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ასევე კონკრეტულად მითითებულ ნაკლებად მძიმე დანაშაულებს, გერმანიის სსკ-ის §30 კი – მხოლოდ დანაშაულს, ე. ი. მძიმე დელიქტებს (და არა სისხლისსამართლებრივ გადაცდომას). მიუხედავად ამისა, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის შეზღუდულ განმარტებას იმ შედეგამდე მივყავართ, რომ სამართლებრივი მდგომარეობა, განსხვავებული ნორმების მიუხედავად, პრაქტიკაში ორივე ქვეყანაში მსგავსია: ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ განხორციელებული დანაშაულის მომზადება, როგორც წესი, დასჯადი არაა.

### IV. უშუალოდ დაწყება

პირის მიერ დანაშაულის ჩადენის წმინდა შინაგანი გადაწყვეტილების მიღების და ლიტონი მოსამზადებელი ქმედებების შემდეგ მესამე შესაძლებელი საფეხური დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უშუალოდ დაწყებაა. შესავლისათვის აქაც ერთი მაგალითი უნდა დასახელდეს.

**მაგალითი 4:** პირს თავისი მეზობლის მოკვლა სურს და ამისათვის სახლში იარაღს ტენის. შემდეგ იგი მიდის მეზობლის ეზოში, სასროლად გამზადებული იარაღით ცოცხალი ღობის უკან დაიმალება და ლოდინს იწყებს. გზაზე მომავალი მეზობლის დანახვისას იგი იარაღს მოიმარჯვებს. მეზობლის მიერ ეზოს ქიშკარში შემობიჯვების შემდეგ პირი მას ესვრის, მაგრამ მიზანს ააცდენს.

#### 1. გერმანული სამართლებრივი მდგომარეობა

გერმანიის სსკ-ის §22<sup>21</sup> მცდელობის დასაწყისის დანაშაულის უშუალოდ დაწყებით აღწერს. როგორც უკვე იყო ნათქვამი, პირის დასჯადობისა და დაუსჯელობის ზღვარი ხშირ შემთხვევაში აქაა გავლებული, ამიტომაც ამ მომენტის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ამასთან, უშუალოდ განხორციელების მომენტის განსაზღვრა ცალკეულ შემთხვევაში მეტად ძნელია.

მოცემულ მაგალითში ამსრულებელმა (სულ გვიან, სროლით) უდავოდ შემადგენლობის განხორციელება დაიწყო და იგი მკვლელობის ან დამძიმებელი გარემოებით ჩადენილი მკვლელობის მცდელობისათვის უნდა დაისაჯოს (მკვლელობა ჩასაფრებით). მაგრამ საკითხავია, ადრევე ხომ არ დაიწყო ქმედების შემადგენლობის უშუალოდ განხორციელება, ანუ უკვე მაშინ, ა) როდესაც იგი სახლში იარაღს ტენიდა, ბ) როდესაც იგი მეზობლის ეზოში შევიდა, გ) როდესაც იგი მეზობლის ბაღში ჩასაფრდა, დ) როდესაც მან მეზობელი შორიდან დაინახა, ე) როდესაც მეზობელი მას სროლის მანძილზე მიუახლოვდა, ვ) როდესაც ამსრულებელმა იარაღი მოიმარჯვა, ზ) როდესაც ამსრულებელმა სასხლეტს თითი დაადო, თ) როდესაც მან სასხლეტზე თითის მიჭერა დაიწყო.<sup>22</sup>

<sup>21</sup> გერმანიის სსკ-ის §22 რეგულაციის მიხედვით, „დანაშაულის ჩადენას ცდილობს ის, ვინც, თავისი წარმოდგენით, უშუალოდ იწყებს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას“.

<sup>22</sup> ამასთან, ასევე შესაძლებელია „მიახლოების შემთხვევა“ bei *Hohmann, Olaf*, JURA 1993, 321; ასევე, კაზუსები *Gropengieser, Helmut/Kohler, Marius*, JURA 2003, 277, 279; *Langer, Winrich*, JURA 2003, 135, 136; *Safferling, Christoph*, Juristische Arbeitsblätter (JA) 2007, 183, 186; *Wolter, Jürgen*, Juristische Arbeitsblätter (JA) 2008, 605, 607 f.

ეს შეკითხვა შემდეგი შემთხვევისათვის მეტად დიდი მნიშვნელობის მქონეა: ქმედების განხორციელებისას პირს მეზობლის ცოლი დაინახავს. საკითხავია, ქალის ქმედება აუცილებელი დახმარების (გერმანიის სსკ-ის §32) წინაპირობებს აკმაყოფილებს თუ არა, თუ იგი ამსრულებლის განზრახვას მიხვდება, მას დიდ ქვას ესვრის თავში, რის გამოც პირი გონებას დაკარგავს და ქმედების განხორციელებას ვეღარ შეძლებს?<sup>23</sup> აუცილებელი მოგერიების და აუცილებელი დახმარების დასაშვებობისათვის საჭირო „იმნუთიერ თავდასხმას“ ზოგიერთი მეცნიერი პირის მიერ ქმედების განხორციელების უშუალოდ დაწყებისას, ე. ი. დასჯადი მცდელობის საზღვრის გადალახვისას აღიარებს.

თავისთავად, ქვის მსროლელი ქალი საქმეში შესაძლებლობისამებრ სწრაფად უნდა ჩაერიოს. იგი ამსრულებლის მიერ იარაღის მომარჯვებას არ უნდა დაელოდოს, რადგან შესაძლებელია, რომ მან ტყვიის სროლის თავიდან აცილება ქვის სროლით ვეღარ შეძლოს. თუ წარმოვიდგენთ, რომ ქალი ქვას მსხვერპლის ეზოში შესვლამდე ისვრის, გარკვეულ შემთხვევებში საეჭვო შედეგებამდე მივალთ: თუ ტყვიის მსროლელის მიერ ქმედების უშუალოდ დაწყებას გვიან დავაფიქსირებთ, მაგალითად, ტყვიის სროლის მომენტში, თავად სწრაფი არ დაისჯებოდა, თუ მას ქვა ტყვიის გასროლამდე, მცდელობის დაწყებამდე, მოხვდებოდა და მისი ქმედება თავიდან იქნებოდა აცილებული. მომზადების ამ სტადიაზე, ე. ი. მცდელობამდე, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქმედება გერმანულ სისხლის სამართალში არ დაისჯება. შესაბამისად, ეზოში დალოდება, თუნდაც დატენილი იარაღით, დანაშაულის დაუსჯელი მომზადება იქნებოდა. სავარაუდოდ, ქალს ქვის სროლისას აუცილებელ დახმარებაზე (გერმანიის სსკ-ის §32) აპელირება არ შეეძლებოდა, რადგან ამსრულებლის თავდასხმა იმ მომენტში ქმედების განხორციელების უშუალოდ დაწყების არარსებობის გამო ჯერ იმნუთიერი არ იყო.

მეორე მხრივ, ჩნდება პრობლემები მაშინაც, როდესაც ქმედების განხორციელების უშუალოდ დაწყებას მეტად ადრე დავაფიქსირებთ, მაგალი-

თად, იმ დროისათვის, როდესაც პირი ეზოში შევა. ქალის მიერ ქვის სროლა ამ მომენტში უკვე დასაშვები რომ იყოს, პირს შეეძლო მტკიცება, რომ სამართლებრივი სიკეთე ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო საფრთხეში, რომ მას მეზობლის დანახვისას სხვა გადაწყვეტილების მიღება და სასიკვდილო გასროლაზე უარის თქმა შეეძლო. თუ მცდელობის დაწყებას ძალიან ადრეულ სტადიაში ვაღიარებთ, დასჯადობა უკვე ეზოში შესვლით გვექნებოდა და ადრეულ მომენტში პირის მოგერიებისას ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელი იქნებოდა. ასევე იქნებოდა ჩვენს შემთხვევაშიც: პირს ეზოში შესვლიდან მოკლე ხნის გასვლის შემდეგ ქვა მოხვდებოდა და ვეღარ იმოქმედებდა. ასე რომ, ნებაყოფლობითობა და ხელის აღება შეუძლებელი იქნებოდა.

თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ მცდელობის დაწყება ობიექტური კრიტერიუმის გვერდით სუბიექტურსაც მოიცავს. ამას გერმანიის სსკ-ის §22 ძირითადი რეგულაცია აჩვენებს: „დანაშაულის ჩადენას ცდილობს ის, ვინც, **ქმედებაზე თავისი წარმოდგენით**, უშუალოდ იწყებს შემადგენლობის განხორციელებას“. ამასთან, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დანაშაულის დაწყება სუბიექტურად თავის დროზე ცოტა უხეშად, მაგრამ ლაკონიურად განმარტა, როდესაც შენიშნა, რომ ამსრულებელი, თავისი წარმოდგენით, დანაშაულის განხორციელებას უშუალოდ მაშინ იწყებს, როდესაც იგი „ახლა დაიწყებას“ ბარიერის გადაბიჯებას დაიწყებს.<sup>24</sup> გერმანიის ფედერალური სასამართლო

<sup>23</sup> გერმანიის სსკ-ის §32-ის მიხედვით, „(1) მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც მოგერიებისას აუცილებელ ქმედებას განახორციელებს. (2) აუცილებელი მოგერიება არის თავდაცვა, რომელსაც თავისთვის ან სხვისთვის იმნუთიერი მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის თავიდან აცილებისთვისაა საჭირო.“

<sup>24</sup> Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 26, 201, 203; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 28, 162, 163; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 36, 249, 250; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 37, 294, 297; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 40, 257, 268; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 48, 34, 36; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 56, 170, 171; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTZ) 1989, 473, 474; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTZ) 1996, 38; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTZ) 2008, 465, 466; BGH NJW 2010, 623; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht, BGH NSTZ 2011, 89; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTZ) 2011, 517; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht – Rechtsprechungs-Report (BGH NSTZ-RR) 2011, 367, 368; ასევე, *Krey, Volker/Esßer, Robert*, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Aufl. 2012; Rn. 1220;

მცდელობის ობიექტური მომენტის ცნების განმარტებისას კი აბსტრაქტულ ფორმულას იშველიებს: უშუალოდ დანყება სახეზეა მაშინ, როდესაც პირი განახორციელებს ქმედებას, რომელიც ხელშეშლელი გაგრძელებისას მნიშვნელოვანი შუალედური აქტის გარეშე უშუალოდ<sup>25</sup> ქმედების შემადგენლობის განხორციელებამდე უნდა მივიდეს ან მასთან უშუალო სივრცობრივ და დროულ კავშირშია.<sup>26</sup>

*Safferling, Christoph*, Juristische Schulung (JuS) 2005, 135, 138; *Thoss, Peter*, JURA 2005, 128 (129); კრიტიკულად *Putzke, Holm*, Juristische Schulung (JuS) 2009, 985, 986; *Stein, Ulrich*, Goldammer's Archiv für Strafrecht (GA) 2010, 129, 150.

<sup>25</sup> უშუალოობის მოთხოვნით კანონმდებელს უპირატესად მცდელობის დასჯადობის შეზღუდვა სურდა, რისთვისაც ეჭვის შემთხვევაში შეზღუდული განმარტება მიზანშეწონილი ჩანს. შდრ. Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 43, 177, 181; *Kühl, Kristian*, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl. 2012, § 15 Rn. 58; *Küper, Wilfried*, Neue Juristische Wochenschrift (NJW) 1984, 777; *Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 46. Aufl. 2016, Rn. 855.

<sup>26</sup> Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 26, 201, 203; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 28, 162, 163; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 30, 363, 364; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 35, 6, 8 f.; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 35, 363, 364; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 36, 249, 250; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 37, 294, 297 f.; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 40, 257, 268; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 40, 299, 301; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 43, 177, 179; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 44, 34, 40; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 48, 34, 36; die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt) 56, 170, 171; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTz) 2006, 331; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTz) 2011, 517; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht – Rechtsprechungs-Report (BGH NSTz-RR) 2011, 367, 368; Bundesgerichtshof – Neue Zeitschrift für Strafrecht (BGH NSTz) 2013, 156; Kammergericht – Neue Zeitschrift für Strafrecht – Rechtsprechungs-Report (KG NSTz-RR) 2013, 138; *Berz, Ulrich*, JURA 1984, 511, 514 ff.; *Hardtung, Bernhard*, Neue Zeitschrift für Strafrecht (NSTz) 2003, 261, 262; *Kindhäuser, Urs*, Strafrecht Allgemeiner Teil, 6. Aufl. 2015, § 22 Rn. 19; *Krey, Volker/Esser, Robert*, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Aufl. 2012, Rn. 1221; *Kühl, Kristian*, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl. 2012, § 15 Rn. 68; *Kühl, Kristian*, Juristische Schu-

## 2. ქართული სამართლებრივი მდგომარეობა

გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, მცდელობა ქართულ სისხლის სამართალში ობიექტურადაა გაგებული და უშუალოდ დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართული განზრახვი ქმედებით იწყება (საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი).<sup>27</sup> რადგან საზღვარი დასჯადობასა და დაუსჯელობას შორის, თეორიაში მაინც, როგორც წესი, მცდელობის დასაწყისით კი არა, არამედ მომზადებითაა ნიშნდებული, ქართველ აუცილებელი დახმარების განმახორციელებელს მცდელობის დანყების დალოდების ვალდებულება არ ეკისრება. დასჯადი მოსამზადებელი ქმედების არსებობისას მას აუცილებელ მოგერიებასა და აუცილებელ დახმარებაზე აპელირება შეუძლია, რადგან მომზადება უკვე სამართლებრივი სიკეთისათვის რეალური საფრთხის შექმნაა.<sup>28</sup>

დასახელებულ შემთხვევაში ხელყოფის ეს რეალური საფრთხე, ე. ი. სამართლებრივ სიკეთეზე იმნუთიერი თავდასხმა პირის მიერ საკუთარ სახლში იარაღის ტენისას ჯერ არაა (მაგალითი ა). აქ ქმედება ცალსახად ჯერ არ მიუთითებს მოახლოებულ თავდასხმაზე, რადგან მოსამზადებელ ქმედებას სოციალური ადეკვატურობისათვის ჯერ არ გადაუბიჯებია. მაგალით გ-ში განხილული მომენტიდან, ე. ი. როდესაც პირი მეზობლის ეზოში ჩასაფრდა, მაგალით ზ-ს ჩათვლით, ე. ი. როდესაც პირმა სასხლეტს თითი დაადო, ქმედება არაორაზროვნად მომზადებაა და აუცილებელი დახმარების განმახორციელებელს აუცილებელი დახმარების ყველა უფლებას ანიჭებს. შემთხვევა ბ-ს, ე. ი. ამსრულებლის მეზობლის ეზოში შესვლის შეფასება შესაძლებელია მრავალ გარემოებაზე (იყო თუ არა ეზო შემოღობილი და ჭიშკარი ჩაკეტილი) და ადგი-

lung (JuS) 1980, 650 ff.; Leipziger Kommentar (LK) zum Strafgesetzbuch-Hillenkamp Thomas, 12. Aufl. 2007, § 22 Rn. 77, 85.

<sup>27</sup> საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახვი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

<sup>28</sup> შდრ. *შავგულიძე, თამაზ*, აუცილებელი მოგერიება, 1966, გვ. 70 (რუსულად); *შავგულიძე, თამაზ/სურგულაძე, ლამარა*, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 1988, გვ. 75.

ლობრივ წესებზე (სტუმარი ეზოში ჭიშკარზე ზარის მიუცემლად ან დაუკაკუნებლად შედის და მასპინძელს მხოლოდ სახლის წინ ეძახის) იყოს დამოკიდებული და ამდენად მოსამზადებელ ქმედებას ერთმნიშვნელოვნად ჯერ არ მიეკუთვნება. მაგალითებს შეფასება ამიტომაც კონკრეტული შემთხვევის მოცემულობაზე უნდა იყოს დამოკიდებული. შემთხვევა თ) კი, ე. ი. როდესაც პირმა სასხლეტზე თითის მიჭერა დაიწყო, ცალსახად მცდელობად უნდა შეფასდეს.

ქართული სისხლის სამართლისათვის პრობლემურია იმ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადების და მცდელობის გამიჯვნა, რომლის მომზადებისათვისაც დასჯადობა პირდაპირ არაა გათვალისწინებული და ამგვარად ქმედების წმინდა მომზადების ან მცდელობისათვის მიკუთვნება, როგორც გერმანულ სისხლის სამართალში, დასჯადობა-დაუსჯელობას შორის მიჯნას ავლებს.

**მაგალითი 5 (ქართული სისხლის სამართლის პრაქტიკიდან):** სასჯელალსრულების კოლონიიდან გასაქცევად პატიმარმა 2001 წლის მაისიდან ამავე წლის ოქტომბრამდე კოლონიის საწარმოო ზონის მიმართულებით 1,5 მ. სიმაღლის და 4 მ. სიგრძის გვირაბი გათხარა. გვირაბის დამთავრებამდე მისი საქმიანობა კოლონიის თანამშრომელმა აღმოაჩინა. თავისუფლებაში გასასვლელად მას 8 მეტრის სიგრძის გვირაბი უნდა გაეთხარა, კოლონიის საწარმოო ზონა, 200 მეტრი ეზო და ღობე გადაელახა.<sup>29</sup>

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ქმედება ლიტონ მომზადებად, ე. ი. გასაქცევად პირობების შექმნად შეაფასეს. ამსრულებელი, შესაბამისად, გამართლდა, რადგან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევა ნაკლებად მძიმე დანაშაულია და ამ ქმედების მომზადების დასჯადობა საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით არაა პირდაპირ გათვალისწინებული და ამიტომაც დასჯადი. პროკურატურის საკასაციო საჩივრის განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ გამამართლებელი განაჩენი გააუქმა, ქმედება გაქცევის მცდელობად შეაფასა და საქმე ხელახალი განხილვისათვის და გადაწყვეტი-

ლების მიღებისათვის სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა. ამ გადაწყვეტილების დასაბუთებაში ნათქვამი იყო, რომ ქმედების მომზადება დანაშაულის ჩადენის მარტოდენ პირობებს ამზადებს, მცდელობა კი უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად უნდა იყოს მიმართული. პირის მოქმედება სწორედ გაქცევისკენ იყო მიმართული, ამიტომაც აქ არა ლიტონი დაუსჯელი მომზადება, არამედ უკვე დასჯადი მცდელობაა სახეზე. უზენაესი სასამართლოს ეს სისხლისსამართლებრივი შეფასება თეორიულ საფუძველსაა მოკლებული. იმ საკითხის გადასაწყვეტად, აქ მომზადებაა სახეზე თუ მცდელობა, შემთხვევათა ჯგუფების შედარება დაგვეხმარება. თუ პირი ადამიანის მოკვლის მიზნით დანას მოიმარჯვებს, მაგრამ არ ასწევს, პისტოლეტს ამოიღებს, თუმცა არ დაუმიზნებს, სახეზეა მხოლოდ (დასჯადი) მომზადება და არა მცდელობა. ქმედების განხორციელების დაწყება, ე. ი. მცდელობა მხოლოდ მაშინაა სახეზე, როდესაც პირი მსხვერპლს დანას მოუღერებს ან პისტოლეტს დაუმიზნებს. პირველი, დანაშაულის ჩასადენად მიმართული ქმედებები კი მოსამზადებელი ქმედებებია. ისინი უკვე ერთ მიზანს, კერძოდ, დანაშაულის ჩადენას ემსახურებიან. მომზადებისაგან განსხვავებით, მცდელობა დანაშაულის ჩასადენად უშუალოდაა მიმართული, ე. ი. მცდელობა ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებაა. იგი მაშინაა სახეზე, როდესაც ქმედების შემადგენლობის ერთი ნიშანი უკვე განხორციელდა ან მისი განხორციელება დაიწყო. მცდელობა, შესაბამისად, სწორედ შემადგენლობასთან დროსა და სივრცეში მჭიდრო კავშირში მყოფ ქმედებებს, ანუ მხოლოდ იმ ქმედებებს მოიცავს, რომლებიც შემადგენლობის დაწყებას უშუალოდ უძღვის წინ და მასთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული.

გაქცევა რაიმე ადგილის უნებართვო და (ზოგჯერ) ფარული მიტოვებაა. გაქცევისას ქმედების განხორციელების დაწყება მაშინაა სახეზე, როდესაც პირი არასასურველი ადგილის დატოვებას იწყებს. ის, ვინც ოთხ მეტრ გვირაბს ოთხი თვე თხრის, დარჩენილ რვა მეტრს და გვირაბის დასრულებას, სავარაუდოდ, კიდევ რვა თვეს მოანდომებს. მიწის სიღრმეში მყოფი ადამიანი, რომელიც კოლონიის შემოღობილ ტერიტორიაზე გასვლას, სულ ადრე, რვა თვის შემდეგ შეძლებს, სივრცის დატოვებას ჯერ არ იწყებს. პატიმარმა, აქედან გამომდინარე, განახორციელა არა გაქცევის მცდელობა, არამედ

<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 25.11.2002 წლის გადაწყვეტილება №168-აპ, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2002-168-ap.pdf>.

მან ეს გაქცევა მხოლოდ მოამზადა.<sup>30</sup> ქმედების აშკარა სოციალური საშიშროების და პირის კრიმინალური ენერჯის მიუხედავად, იგი უნდა გამართლებულიყო, რადგან საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ამ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადების დასჯადობას პირდაპირ არ ითვალისწინებს. ქმედების დასჯადობას სამართლებრივ სახელმწიფოში მხოლოდ ფორმალური კანონი უდევს საფუძვლად და არა ქმედების ან პირის სოციალური საშიშროება.<sup>31</sup> პრინციპი „nulla poena sine lege“ ძალაში რჩება.

### 3. შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა

ქართველი პრაქტიკოსი იურისტი იშვიათად დგას სამართლებრივი სიკეთისათვის რეალური საფრთხის არსებობისას დანაშაულის არსებობის დასასაბუთებლად (ქმედების) უშუალოდ დაწყების დადგენის აუცილებლობის დილემის წინაშე, რადგან ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება ქართულ სისხლის სამართალში, როგორც წესი, (და ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება კანონში დასახელებულ შემთხვევებში) დასჯადია. მომზადება, როგორც სამართლებრივი სიკეთის აბსტრაქტული, მაგრამ რეალური საფრთხე ქართულ სისხლის სამართალში უკვე უშუალო და იმნუთიერი საფრთხეა და, შესაბამისად, მის წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიების განხორციელება შესაძლებელია. პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში შეიძლება მხოლოდ მაშინ წარმოიშვას, როდესაც ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით პირდაპირ დასჯადი არაა, მაგრამ, სამართალგამომყენებლის შეხედულებით, სასჯელის ღირსია. აქ ქართული სისხლის სამართლის პრაქტიკა (გერმანული სისხლის სამართლის შემადგენლობის უშუალოდ დაწყების მსგავსად) ქმედების შემადგენლობის დაწყების ად-

რეულად დაფიქსირების ტენდენციას აჩვენებს.

გერმანულ სისხლის სამართალში კი მცდელობის უშუალოდ დაწყების მომენტის დასადგენად დიდი ძალისხმევაა საჭირო, რადგან, როგორც წესი, დასჯადობის საზღვარი მხოლოდ ამგვარად გადაილახება. ერთმნიშვნელოვანი კრიტერიუმი აქ ჯერ ვერ მოიძებნა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „უშუალოდ დაწყება“ გერმანულ სამართალში სუბიექტური და ობიექტური კომპონენტებისაგან შედგება, მაშინ, როდესაც ქართული სისხლის სამართალი ძირითადად ცნების ობიექტურ განმარტებაზეა ორიენტირებული. ეს უკვე ამ ორი საკანონმდებლო დებულების შედარებიდან გამომდინარეობს. მაშინ, როდესაც საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლი პირდაპირ სუბიექტურ ელემენტს არ მოიცავს („დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“), გერმანიის სსკ-ის §22 სწორედ პირის წარმოდგენას ეფუძნება („დანაშაულის მცდელობას ახორციელებს ის, ვინც, ქმედებაზე თავისი წარმოდგენით, ქმედების შემადგენლობის განხორციელებას უშუალოდ იწყებს“). მიუხედავად ამისა, სუბიექტურ ელემენტებზე მთლიანად უარის თქმა, ქართულ სისხლის სამართალშიც შეუძლებელია. მართალია, საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის შემადგენლობის განსახორციელებლად ქმედება ობიექტურად ქმედების განხორციელები-საკენ უნდა იყოს მიმართული, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, ასევე ამსრულებლის განზრახვით უნდა იყოს მოცული. თუმცა გერმანული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, საკმარისი არაა მარტოოდენ პირის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მისი ქმედება დანაშაულის ჩადენისკენაა მიმართული. გერმანულ სისხლის სამართალში ამ „გასუბიექტურებას“ შედეგად მოსდევს ის, რომ შესაძლებელი ხდება შემადგენლობის განხორციელების დაწყების ძალიან ადრე აღიარება და დასჯადობის განვრცობა მომზადების დასჯადობის სფეროში, რაც მომზადების ზოგადი დელიქტის არარსებობის გამო საჭირო ჩანს.<sup>32</sup> ქართულ სისხლის სამართალში ამგვარი პრობლემა არ დგება.

<sup>30</sup> იგივე აზრი იხ. *მამულაშვილი, გოჩა*, წიგნში: *ლეკვიშვილი, მზია/თოდუა, ნონა/მამულაშვილი, გოჩა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-5 გამოცემა, 2017, გვ. 539; სხვა მოსაზრება იხ.: *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 304-305.

<sup>31</sup> Vgl. *Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 46. Aufl. 2016, Rn. 61, 71.

<sup>32</sup> შდრ. მცდელობის მეტად ადრეული დაწყება გერმანულ სისხლის სამართალში „ბენზინგასამართი სადგურის შემთხვევა“, *die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Strafsachen (BGHSt)* 23, 201.

ამ მხრივ, პრობლემები აქვს ქართულ სისხლის სამართალს უვარგისი მცდელობისას, რომლის დროსაც სამართლებრივი სიკეთის საფრთხე, მართალია, არ დასტურდება, მაგრამ, გაბატონებული მოსაზრებით, (საქართველოს სსკ-ის მე-20 მუხლის ლოგიკური განმარტებით) დასჯადია. როგორც გერმანიაში, ასევე საქართველოში, ამგვარ უვარგის მცდელობაში მოიაზრება მცდელობა, როდესაც ამსრულებლის წარმოდგენის სანინალმდეგოდ, მოცემულ პირობებში ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლის გამო დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება შეუძლებელია. რადგან წმინდა ობიექტური თეორია უვარგისი მცდელობის დასჯადობას ვერ ხსნის, ქართულ სისხლის სამართალში შემოთავაზებულია გერმანული სისხლის სამართლიდან შერეული ობიექტურ-სუბიექტური თეორიის გაზიარება და „ნორმალური“ მცდელობის ობიექტურად, უვარგისი მცდელობის კი სუბიექტურად განსაზღვრა.<sup>33</sup> ეს შეხედულება არასისტემურია და მას საკანონმდებლო საფუძველი აკლია. მცდელობის სუბიექტურ-ობიექტურ თეორიაზე გადასვლამ შეიძლება მომზადების სუბიექტურ-ობიექტური თეორიის შემოღება გამოიწვიოს, რაც დასჯადობას განწყობის სისხლის სამართალზე გაავრცელებდა. უმჯობესი ჩანს გერმანულ სისხლის სამართალში განვითარებული ახალი ობიექტური თეორიის პოზიცია, რომელიც მცდელობის ქმედებით შექმნილ საფრთხეს არა **ex post**, არამედ **ex ante** აფასებს. შესაბამისად საშიშად ჩაითვლება ის ქმედება, რომელიც, ობიექტური დამკვირვებლის **ex ante** შეფასებით, დანაშაულის ჩადენისკენაა მიმართული.<sup>34</sup> აბსოლუტურად უვარგისი და არარეალური მცდელობები კი სასჯელს ვერ დააფუძნებენ, რადგან ამგვარი ქმედება ობიექტური დამკვირვებლის აზრით, არავითარ საფრთხეს არ მოიცავს. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის მე-20 მუხლი დაუმთავრებელი დანაშაულის ობიექტური გაგებიდან გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამგვარად, უვარგისი მცდელობის დასჯადობის და აბსოლუტურად უვარგისი

მცდელობის დაუსჯელობის დასაბუთება სუბიექტურ-ობიექტურ თეორიაზე გადასვლის გარეშეცაა შესაძლებელი.<sup>35</sup>

<sup>33</sup> ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, 2010, გვ. 255.

<sup>34</sup> მცდელობის ობიექტური თეორიისათვის შდრ. *Hirsch, Günter, Juristische Zeitung (JZ) 2010, 2007, S. 496; Hirsch, Günter, Festschrift für Claus Roxin (Roxin-FS) 2001, S. 710; Spindel, Günter, Neue Juristische Wochenschrift (NJW) 1965, 1888; Spindel, Günter, Festschrift für Ulrich Stock, (Stock-FS) S. 89.*

<sup>35</sup> მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი მეორე, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. ველი 100-დან.

# ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაბეჭა ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. **ლავერენტი მალაქელიძე**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## I. შესავალი

ბრალდებულს საჭიროა დანვრილებით ეცნობოს ბრალდების არსი და საფუძველი, რაც გულისხმობს წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებულ ფაქტებსა და სამართლებრივ კვალიფიკაციას<sup>1</sup>. ამასთან, ასეთი ინფორმაცია უნდა იყოს სწორი და გასაგები. კერძოდ, ქმედება რომლის ჩადენაშიც პირს ბრალი ედება, ზუსტად და კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული. აუცილებელია იყოს მითითება იმის შესახებ, თუ რა იყო მისი ქმედება, სად, როგორ და ვისთან ერთად იქნა ის ჩადენილი<sup>2</sup>. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საუბარია იმ ბრალდების ფარგლებზე, რასაც პროკურორი ამტკიცებს საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას.

ცნობილია, რომ ინკრიმინირებული ქმედებისათვის დამახასიათებელი გარემოებები ისეთი ფორმით უნდა იქნეს გადმოცემული, რომ ზუსტად ხდებოდეს მისი ინდივიდუალიზაცია და გამორიცხული იყოს სხვა დანაშაულის შემადგენლობაში აღრევის რეალური საფრთხე<sup>3</sup>. ბრალდების ფარგლები დანაშაულის კვალიფიკაციასთან ერთად, ასევე, საჭიროა, მოიცავდეს ინკრიმინირებული ქმედების

ფაქტობრივ გარემოებებსაც, ე.ი. იმ ფაქტებსა და ვითარებას, რომლებიც ბრალდების მხარის შეფასებით წარმოადგენს კონკრეტულ დანაშაულს.<sup>4</sup> პრობლემურია, როდესაც არსებობს შეუსაბამობა ბრალდებით განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებში, ე.ი., როცა ხდება ბრალდებიდან ფაქტობრივი გადახრა – ბრალდებით წარდგენილი ქმედების ნაცვლად დასტურდება ბრალდებულის მიერ სხვა დანაშაული შემადგენლობის განხორციელება.

სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემა იქნება განხილული წინამდებარე სტატიაში. ამასთან, განალიზდება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა ბრალდების უცვლელობის პრინციპთან დაკავშირებით.

## II. ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო არაერთხელ მიუთითებს თავის გადაწყვეტილებებში, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(b) პუნქტი უზრუნველყოფს ბრალდებულს „დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროითა და საშუალებით.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> იხ. *Chichlian and Ekindjian v. France*, განაცხადი #10959/84, ECtHR, 1989 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება, §50, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57613>.

<sup>2</sup> შეად.: საქართველოს უზენაესი სასამართლო: სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, 2015, 52-53.

<sup>3</sup> შეად.: *Jakobs, Günther, Probleme der Wahlfeststellung*, *Goldammer's Archiv für Strafrecht (GA)*, 1971, 257-258; *Puppe, Ingeborg, Die individualisierung der Tat in Anklageschrift und Bußgeldbescheid und ihre nachträgliche Korrigierbarkeit*, *Neue Zeitschrift für Strafrecht (NStZ)*, 1982, 230.

<sup>4</sup> შეად.: საქართველოს უზენაესი სასამართლო: სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, 2015, გვ. 52; *თუმანიშვილი, გიორგი*, ბრალდება და მისგან გადახრა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, სამართლის ჟურნალი, #1, 2016, 274.

<sup>5</sup> ევროპული სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს დროის ფაქტორს. კერძოდ, როდესაც სამართალ-



საქმეში: *Can v. Austria* კომისიამ მიუთითა: „ბრალდებულს უნდა ჰქონდეს საკუთარი დაცვის ჯეროვნად ორგანიზების საშუალება, დაცვის ყველა არგუმენტის სასამართლოს წინაშე წარდგენისა და შესაბამისად, სამართალწარმოების შედეგზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა...“<sup>6</sup>

აღნიშნული დებულება, ევროპული სასამართლოს განმარტებით, გულისხმობს იმას, რომ ბრალდებულის დაცვის მომზადებაზე მიმართული საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს იმას, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ პირი მზად იყოს მისი საქმის არსებითი განხილვისათვის.<sup>7</sup>

საქმეში: *Mattocia v. Italy* სასკოლო ავტოპუსის მძღოლს ბრალად ედებოდა შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე გოგონაზე სექსუალური ძალადობა. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ განმარტა, რომ „ბრალდებაში მოცემული ინფორმაცია იყო ბუნდოვანი (დანაშაულის ჩადენის) დროისა და ადგილის მნიშვნელოვან ელემენტებთან დაკავშირებით.“<sup>8</sup>

გარდა ამისა, სასამართლომ იქვე მიუთითა: „სამართლიანობა მოითხოვდა, რომ განმცხადებელს მისცემოდა უფრო მეტი საშუალება და შესაძლებლობები საკუთარი თავის პრაქტიკული და ეფექტიანი დაცვისათვის, მაგალითად, ალიბის დასად-

წარმოების განმავლობაში, ფაქტების კვალიფიკაცია იცვლება, ბრალდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ პრაქტიკულად და ეფექტურად განახორციელოს დაცვის უფლებები გონივრულ ვადაში. ამის შესახებ იხ. *Pélissier and Sassi v. France*, განაცხადი #25444/94, ECtHR, 1999 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, §62, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58226>, ასევე, შეად. *მჭედლიძე, ნანა*, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, 2017, გვ. 135.

<sup>6</sup> იხ. *Can v. Austria*, განაცხადი #9300/81, ECtHR, 1985 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება, კომისიის ანგარიში, §53, ციტირებულია: *ტრექსელი, შტეფან*, ადამიანის უფლებების სისხლის სამართლის პროცესში, 2009, გვ. 251, სქოლიო 1101, [http://www.alpe.ge/files/publications/file\\_jnzx37sp0mstvp8.pdf](http://www.alpe.ge/files/publications/file_jnzx37sp0mstvp8.pdf); თავად გადაწყვეტილება კი ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57457>.

<sup>7</sup> იხ. *Vyerentsov v. Ukraine*, განაცხადი #20372/11, ECtHR, 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება, §75, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-118393>.

<sup>8</sup> იხ. *Mattocia v. Italy*, განაცხადი #23969/94, ECtHR, 2000 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, §71, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58764>.

გენად მონმეთა მონვევისათვის.<sup>9</sup> შესაბამისად, ევროპული სასამართლოსათვის გაუგებარი იყო, „როგორ შეიძლებოდა სასამართლო განხილვაზე შეგროვებული მტკიცებულებები ყოფილიყო საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრალდების „საფუძველი“ შეიცვალა იმ ეტაპზე, როცა ბრალდებულს ამაზე რეაგირების მოხდენა შეეძლო მხოლოდ გასაჩივრების შემდეგ“.<sup>10</sup>

ამდენად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ყველა საშუალება რათა ორგანიზება გაუკეთოს თავის დაცვას შესაბამისი გზით ისე, რომ არ შეეზღუდოს შესაძლებლობა, სასამართლოს წარუდგინოს ყველა რელევანტური დაცვითი არგუმენტი და იმოქმედოს სამართალწარმოების მთლიან შედეგზე.<sup>11</sup>

### III. ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

ქართულ სასამართლო სისტემაში არაერთგვაროვანი პრაქტიკა ჩამოყალიბდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ცალკეული მოსამართლეები ბრალდებიდან გადახრის შემთხვევებში, „ერიდებიან“ დანაშაულის გადაკვალიფიცირებას შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემადგენლობაზე და გამოაქვთ გამამართლებელი განაჩენი. ასე მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 აპრილის განაჩენით, ბრალდებული პირი გაამართლა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებაში, მაშინ როცა, აშკარად იკვეთებოდა ბრალდებულის ქმედება-

<sup>9</sup> იხ. *Mattocia v. Italy*, განაცხადი #23969/94, ECtHR, 2000 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, §71, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58764>.

<sup>10</sup> იხ. *Mattocia v. Italy*, განაცხადი #23969/94, ECtHR, 2000 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, §70, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58764>.

<sup>11</sup> იხ. *Mayzit v. Russia*, განაცხადი #63378/00, ECtHR, 2005 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, §78, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-68067>, ასევე, შეად. *მჭედლიძე, ნანა*, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, 2017, გვ. 135.

ში ჯანმრთელობის გაზრახ მსუბუქი დაზიანების ნიშნები<sup>12</sup>.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა, რომ „გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასებისა და ანალიზის შედეგად შესაძლოა ბრალდებულის ქმედებაში ყოფილიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის<sup>13</sup> სხვა, უფრო მსუბუქი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები“<sup>14</sup>. თუმცა, იქვე სასამართლომ განმარტა: „ასევე გასათვალისწინებელია, ბრალდების უცვლელობის პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს ვალდებულებიდან, რომ ბრალდებულს სათანადოდ და სრულად ეცნობოს ბრალდების შესახებ, ბრალდების ცვლილების ჩათვლით“.<sup>15</sup>

სასამართლომ ჩათვალა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული სტანდარტები ბრალდების შეცვლისათვის არ იყო საკმარისი. შესაბამისად, გამოკვლეულ მტკიცებულებათა სათანადო შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, მოსამართლემ უდანაშაულოდ სცნო ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში და იგი გაამართლა.<sup>16</sup>

საკითხავია, რა დროს შეუძლია მოსამართლეს, მსგავს შემთხვევებში გასცდეს ბრალდების ფარ-

გლებს? კერძოდ, პირი ცნოს დამნაშავედ ან გადააკვალიფიციროს ბრალად წარდგენილი ქმედება და მსჯავრი დასდოს ბრალდებულს ბრალდებით გაუთვალისწინებელი დანაშაულის ჩადენისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მათთვის გასაგებ ენაზე დაუყონებლივ და დანვრილებით უნდა ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი. კონვენციის ამ სულისკვეთებას, გარკვეულწილად, იმეორებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომლის თანახმადაც, პირის დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყონებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითვის წინ, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. გარდა ამისა, კანონის სავალდებულო მოთხოვნაა, რომ მას გადაეცეს დაკავების ოქმი, ხოლო თუ არ დაუკავებიათ, ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ ბრალდებულს სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზევე უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდების შესახებ, რათა ამ უკანასკნელმა ჯეროვნად შეძლოს თავის დაცვა. თუკი ბრალდების მხარე სასამართლოში ვერ მოახერხებს პირის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში მითითებული ყველა გარემოების სათანადოდ დამტკიცებას, შესაძლოა ამას შედეგად მოჰყვეს ბრალდებულის გამართლება<sup>17</sup>. ამდენად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად ბრალდებაში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები უნდა შეესატყვისებოდნენ მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგებს (ე.წ. კორესპონდენციის პრინციპი).<sup>18</sup> დაცვის მხარეს ასეთ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი და რწმენა, რომ დაცვის სტრატეგიის მომზადება მოუწევს მხოლოდ წარდგენილი ბრალდების სა-

<sup>12</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის განაჩენი #1/2823-14 საქმეზე. ანალოგიური გადაწყვეტილება გამოიტანა მცხეთის რაიონულმა სასამართლომ, სადაც მოსამართლემ პირი გაამართლა ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის ბრალდებაში, თუმცა, აშკარად იკვეთებოდა ბრალდებულის ქმედებაში ჯანმრთელობის დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. მოგვიანებით დასახელებული განაჩენი გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ და გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლის (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) შესაბამისად. ამის შესახებ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის #1/ბ-117-13 გადაწყვეტილება, ასევე, შეად. *თუმანიშვილი, გიორგი*, ბრალდება და მისგან გადახრა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, სამართლის ჟურნალი, #1, 2016, 275.

<sup>13</sup> ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

<sup>14</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის განაჩენი #1/2823-14 საქმეზე.

<sup>15</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის განაჩენი #1/2823-14 საქმეზე.

<sup>16</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის განაჩენი #1/2823-14 საქმეზე.

<sup>17</sup> იხ. *თუმანიშვილი, გიორგი*, ბრალდება და მისგან გადახრა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, სამართლის ჟურნალი, #1, 2016, 279.

<sup>18</sup> იხ. *თუმანიშვილი, გიორგი*, ბრალდება და მისგან გადახრა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, სამართლის ჟურნალი, #1, 2016, 281.

ფუძველზე და ფარგლებში. ამასთან, აღნიშნული წესი გულისხმობს იმასაც, რომ ბრალდებული დაცული უნდა იქნეს ისეთი მოულოდნელობისაგან, რომ მისი გასამართლება მოხდეს საქმის არსებითი განხილვის დროს გამოვლენილი ბრალდებისგან განსხვავებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე.

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, საქალაქო სასამართლომ პირის ქმედება საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლის (ნამება) პირველი ნაწილიდან გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 120-ე (ჯანმრთელობის გაზრახ მსუბუქი დაზიანება) მუხლზე<sup>19</sup>. ასევე, მსჯავრდებულ ზ.ფ.-ის საქმეზე, მოსამართლემ ზ.ფ.-ს ქმედება ყაჩაღობის ბრალდებიდან გადააკვალიფიცირა იძულების მუხლზე<sup>20</sup>. სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, საქალაქო სასამართლომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,323<sup>1</sup>-ე მუხლის (ტერორისტული მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის გადაზიდვაში დახმარება) პირველი ნაწილიდან გადააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის 25,236-ე მუხლის (ცეცხლსასროლი იარაღის გადაზიდვაში დახმარება) მე-4 ნაწილზე,<sup>21</sup> მაშინ როცა, თავად ამ დანაშაულის ამსრულებლები სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323<sup>1</sup>-ე მუხლით (ტერორისტული მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის გადაზიდვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.<sup>22</sup>

სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით საკითხავია, დაირღვა თუ არა თანამონაწილესთან – დამხმარესთან – მიმართებაში, ბრალდების უცვლელობის პრინციპი?

<sup>19</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის განაჩენი #1/2160-15 საქმეზე, ანალოგიური გადაწყვეტილება გამოიტანა ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 23 მარტს, სადაც პირის ქმედება ძარცვის ბრალდებიდან გადააკვალიფიცირა თაღლითობის სემადგენლობაზე. დაწვრილებით იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 მარტის განაჩენი #1/7129 საქმეზე.

<sup>20</sup> შუად. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 ივნისის განაჩენი #1/5062-15 საქმეზე.

<sup>21</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 მაისის განაჩენი #1/5020-16 საქმეზე.

<sup>22</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 მაისის განაჩენი #1/5020-16 საქმეზე.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად ამსრულებლისა და დამხმარის მიერ სხვადასხვა მუხლებით განხორციელებული ქმედებისა, ასეთ დროს მატერიალურ-სამართლებრივად არ ირღვეოდა თანამონაწილის მიერ ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის წესი. როგორც ამსრულებლების, ისე დამხმარის შემთხვევაში, სასამართლომ ჩათვალა, რომ ჩადენილი იყო ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის ტიპი, სადაც განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ კონკრეტულ მიზანში (ტერორისტული მიზანი), მაგრამ ქმედების ობიექტური მხარე იყო იდენტური. რაც შეეხება ამ ქმედების კვალიფიკაციის პროცესუალურ-სამართლებრივ მხარეს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქმედების გადააკვალიფიცირების ეს შემთხვევა სრულ შესაბამისობაში იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ბრალდების უცვლელობის პრინციპთან, ვინაიდან კვალიფიკაციის შეცვლა იყო „წინასწარ განჭვრეტადი“ და მოსალოდნელი.<sup>23</sup>

#### IV. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბრალდების უცვლელობის პრინციპის თანახმად, ბრალდებულს სათანადოდ და სრულად უნდა ეცნობოს ბრალდების შესახებ, ბრალდების ცვლილების ჩათვლით, რათა სათანადოდ მოემზადოს დაცვისათვის. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადგენს, რომ ბრალდების გადააკვალიფიცირებისას, ბრალდებულს უნდა მიეცეს სათანადო დრო და საშუალება მათზე რეაგირებისათვის და ახალ ბრალდებაზე დაყრდნობით დაცვის ორგანიზებისათვის<sup>24</sup>. ეს პრინციპი არ ირღვევა მაშინ, როდესაც ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა ხდება ერთი სისხ-

<sup>23</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 მაისის განაჩენი #1/5020-16 საქმეზე.

<sup>24</sup> იხ.: *Block v. Hungary*, განაცხადი #56282/09, ECtHR, 2011 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პუნქტი §24, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-103043; Mattoccia v. Italy>, განაცხადი #23969/94, ECtHR, 2000 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, §61, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58764>.

ლისსამართლებრივი უმართლობის ფარგლებში<sup>25</sup>, კერძოდ, ევროპული სასამართლოს მიდგომით, ქმედების გადაკვალიფიცირება დაცვისთვის მაშინაა ნინასნარ განჭვრეტადი და მოსალოდნელი, როდესაც ქმედება ბრალდების ორგანული შემადგენელი ელემენტია<sup>26</sup>. ბრალდებიდან გადახრა ანუ, ბრალდების უცვლელობის პრინციპიდან გადახვევა, არ ზღუდავს მოსამართლეს გამამტყუნებლელი განაჩენის გამოტანაში, თუკი ასეთი გადახრა არ არის არსებითი და არ უკარგავს ბრალდებას ინფორმაციისა და დაცვის ფუნქციას. მართალია, სასამართლოს შეუძლია პირის ქმედება გადააკვალიფიციროს სხვა შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, თუმცა, გასათვალისწინებელია ასეთ დროს ამ ქმედების როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცესუალურ-სამართლებრივი მხარე. პირველ შემთხვევაში, კვალიფიკაციის შეცვლისას, გადასაკვალიფიცირებელი ქმედება უნდა იყოს იმავე სისხლისსამართლებრივი უმართლობის ტიპის (მაგ. სსკ-ის 108-ე მუხლიდან (განზრახი მკვლელობა) გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 113-ე მუხლზე (მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით), ან სსკ-ის 179-ე მუხლიდან (ყაჩაღობა) გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის

150-ე მუხლზე (იძულებაზე)<sup>27</sup>, ხოლო მეორე შემთხვევაში – ნინასნარგანჭვრეტადი, მოსალოდნელი, რათა დაცვას მიეცეს შესაბამისი დრო და საშუალება ეფექტიანი დაცვის განსახორციელებლად<sup>28</sup>. თუკი მოსამართლემ იმგვარი ფაქტები და გარემოებები დაადგინა, რომლებიც თვისობრივად და არსობრივად ძალიან შორსაა წარდგენილი ბრალდების არსთან, თუმცა, შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, არაა მიზანშეწონილი ქმედება გადაკვალიფიცირდეს სხვა თუნდაც უფრო მსუბუქ მუხლზე და ბრალდებული გამტყუნდეს. უფრო სწორია, თუ პირის მიმართ ასეთ შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი დადგება.

<sup>25</sup> ბრალდების უცვლელობის პრინციპი დარღვეული იქნა უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში. კერძოდ, პირველმა ინსტანციის სასამართლომ პირი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის (ძარცვა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში, სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში და პირის ქმედება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან სსკ-ის 154-ე მუხლის (ყურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) პირველ ნაწილზე. უზენაესმა სასამართლომ კი, თავის მხრივ, ცვლილება შეიტანა სააპელაციო სასამართლოს განაჩენში და პირი დამნაშავედ გამოაცხადა სსკ-ის 360-ე (თვითნებობა) მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამის შესახებ დანვრილებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისის N7აპ-15 გადაწყვეტილება.

<sup>26</sup> იხ.: *De Salvador Torres v. Spain*, განაცხადი #21525/93, ECtHR, 1996 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, §33, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58061;Juha Nuutinen v. Finland>, განაცხადი #45830/99, ECtHR, 2007 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, §32, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-80211>.

<sup>27</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 ივნისის განაჩენი #1/5062-15 საქმეზე.

<sup>28</sup> სრულიად შესაძლებელია, მოსამართლის მიერ დადგენილი ფაქტები იმდენად გასხვავებოდეს წარდგენილი ბრალდებისაგან, რომ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა თავით გათვალისწინებულ დანაშაულთან გვეკონდეს საქმე, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე წარდგენილი ბრალდების თვისებრივ და არსებით შინაარსს არ გასცდეს. შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლო: სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, 2015, 54.

# ანგარიში კონფერენციაზე: „სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება“ – 2017 წლის 12-13 მაისი, თბილისი, საქართველო

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *თემურ ცქიტიშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

სისხლის სამართლის მეცნიერებაში არაერთგვაროვანი მოსაზრებაა გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ინსტიტუტია წინა პლანზე, დანაშაული თუ სასჯელი. მაშინ, როცა ზოგიერთი მეცნიერი პირველ ადგილზე დანაშაულის ცნებას აყენებს, ავტორთა მეორე ნაწილი უპირატესობას სასჯელს ანიჭებს, ვინაიდან სწორედ იგი განსაზღვრავს სისხლის სამართლის სპეციფიკას<sup>1</sup>. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგის სახელწოდება სხვადასხვა ენაზე განსხვავებულად ჟღერს და იგი პირდაპირ არ ითარგმნება. ქართულად სამართლის ამ დარგის სახელწოდება („სისხლის სამართალი“) სწორედ სასჯელის ინსტიტუტის დომინანტურ როლზე მიუთითებს და სისხლის სამართალს დასჯითი სამართლის სახით წარმოგვიდგენს.

მართალია, სისხლის სამართლის ფუნქცია მხოლოდ დამნაშავეს დასჯით არ ამოიწურება და იგი აღდგენითი მართლმსაჯულებისთვის დამახასიათებელ არასადამსჯელო ხასიათის ღონისძიებებსაც იცნობს, მაგრამ მათთან შედარებით სასჯელის ინსტიტუტი მაინც რჩება სისხლის სამართლის სპეციფიკის და ბუნების განმსაზღვრელად.

მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი სანქცია სისხლის სამართლის მეტად მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს. სისხლის სამართალი თავის პრევენციულ ფუნქციას სწორედ სასჯელის საშუალებით ასრულებს. თუმცა, სისხლისსამართლებრივი სასჯელი სანქციების ერთ-ერთი სახეა. სისხლის სამართალი სასჯელის გარდა სხვა სახის სანქციებსაც იცნობს, რომელიც სასჯელის მსგავსად არ არის მოკლებული პრევენციულ ფუნქციას, მაგრამ განსხვავებულია მათი გამოყენების წინაპირობები და თავისებურებები.

<sup>1</sup> *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის სამართლის შესავალი, წიგნში: *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, 2013, გვ. 13-14.

სისხლისსამართლებრივი სანქციების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სანქციებზე და სასჯელის შეფარდებაზე სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, ქართულ სისხლის სამართალში, კვლევის თვალსაზრისით, ყველაზე მიმზიდველ მიმართულებად თავიდანვე დანაშაულის მოძღვრება და მასთან დაკავშირებული საკითხები იქცა<sup>2</sup>. დღემდე ახალგაზრდა თუ გამოცდილი მეცნიერები უფრო მეტად დანაშაულის მოძღვრებით ინტერესდებოდნენ, რაც კარგად ჩანს ქართულ ენაზე გამოცემული ნაშრომებიდან. სასჯელებზე ქართულ ენაზე დღემდე სულ რამდენიმე ნაშრომ<sup>3</sup> გამოიცა, რასაც ალბათ, თავისი მიზეზებიც აქვს.

<sup>2</sup> ქართული სისხლის სამართლის სკოლის ფუძემდებელმა პროფესორმა *თინათინ წერეთელმა* და მისმა მოწაფეებმა დანაშაულის მოძღვრებას, დანაშაულის აგებულებას, მასთან დაკავშირებულ პრობლემებს მიუძღვნეს სამეცნიერო ნაშრომები (მონოგრაფიები, სტატიები), რომლებიც დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც უნინ.

<sup>3</sup> *ვაჩიშვილი, ალექსანდრე*, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, 1960; *გოთუა, ზურაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, 2001; *ობანაშვილი, ანრი*, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, 2009, #2; *ლეკვეიშვილი, მზია/შალიკაშვილი, მორის* (რედ), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, სტატიათა კრებული, 2011; *ხერხეულიძე, ირინე*, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2011, #2; *დვალიძე, ირაკლი*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013; *ნაჭყებია, გურამ*, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2013, #2;

სასჯელი ხომ სისხლის სამართლის ის ინსტიტუტია, რომელიც სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას განსაზღვრავს. თუ როგორია სისხლის სამართლის პოლიტიკა, ეს კარგად ჩანს სწორედ სისხლისსამართლებრივ სანქციებზე არსებული საკანონმდებლო რეგულირებიდან. ამა თუ იმ საკითხის მეცნიერული კვლევა კრიტიკულ ანალიზსაც მოითხოვს, მაგრამ საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში მეცნიერის მიერ კრიტიკული აზრის გამოთქმა და თავისუფალი აზროვნება გარკვეულ რისკებთან იყო დამოკიდებული. არაერთი მაგალითი არსებობს იმასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირში მეცნიერებს, მწერლებს თუ ინტელექტუალური სფეროს სხვა წარმომადგენლებს როგორ „ძვირად უჯდებოდათ“ კრიტიკული აზრის გამოთქმა.

საბჭოთა წყობილების პირობებში მეცნიერული აზროვნების თავისუფლება ისე იყო შეზღუდული, რომ ქართველი მეცნიერები რუს მეცნიერებთან კამათის დროს ერთგვარ სიფრთხილეს იჩენდნენ და პოლემიკას გარეგნულად საბჭოური იდეოლოგიისათვის მისაღებ ფორმას აძლევდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დასავლური ლიტერატურა, განსაკუთრებით გერმანული, როგორც ბურჟუაზიული, იდეოლოგიურად იყო დანუწებული, რაც გერმანული მეცნიერების შესწავლას ხელს უშლიდა<sup>4</sup>.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ნაკლებად გასაკვირად მოგვეჩვენოს, თუ რატომ ირჩევდნენ მეცნიერები კვლევისთვის ისეთ პრობლემებს, რომელიც ერთი მხრივ, მათ მისცემდა კრიტიკული აზრის გამოხატვის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, ეს ყოველივე ნაკლებ საშიშროებას შექმნიდა მათი უსაფრთხოებისთვის. თუმცა, სისხლისსამართლებრივი სანქციების კვლევასთან დაკავშირებით მანამდე გამოჩენილი ნაკლები ინტერესი ხშირად სხვაგვარად იყო გამართლებული: „სისხლისსამართლებრივი სანქციები ხომ ნაკლებად წარმოადგენს მეცნიერულ პრობლემას და მას უფრო მეტად ტექნიკური ფუნქცია გააჩნია“, რაც

რასაკვირველია, ყოველგვარ არგუმენტსაა მოკლებული და იმდენად არასერიოზულად, ღიმილისმომგვრელად ჟღერს, რომ სანინააღმდეგოს მტკიცებასაც კი არ საჭიროებს.

ბოლო პერიოდში სასჯელების და სისხლისსამართლებრივი სანქციების, მათი შეფარდების თავისებურებების მეცნიერული კვლევის მხრივ მდგომარეობა ნელ-ნელა იცვლება. ქართველი მეცნიერები უფრო მეტად ინტერესდებიან ამ მიმართულებით, რისი დასტურიც არის ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს დაფინანსებით, ერთწლიანი გრანტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა, რომელიც ეძღვნება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციებს საქართველოში და მოიცავს სისხლისსამართლებრივ სანქციებზე და მათ შეფარდებაზე კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზს<sup>5</sup>. გარდა ამისა, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პროფესორებისგან შემდგარი ჯგუფი ფაკულტეტის ერთწლიანი გრანტის ფარგლებში მუშაობს მონოგრაფიული ტიპის ნაშრომზე, რომელიც ასევე მიეძღვნება სისხლისსამართლებრივ სანქციებს და სასჯელის შეფარდების პრობლემას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დოქტორანტიები ბოლო პერიოდში სადისერტაციო თემას სისხლისსამართლებრივ სანქციებთან დაკავშირებულ პრობლემებს უძღვნიან<sup>6</sup>.

სისხლისსამართლებრივი სანქციების მეცნიერულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სისხლის სამართლის თეორიის განვითარებისთვის, არამედ პრაქტიკისთვისაც, სადაც რეალურად ხდება სასჯელების საკანონმდებლო რეგულაციების გამოყენება და ნორმის შეფარდება. სწორი, მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისითაც.

ამა თუ იმ საკითხის სიღრმისეული, მეცნიერული კვლევის კუთხით არსებითია არა მხოლოდ ეროვნულ თუ უცხოურ ენაზე გამოცემული ნაშრომების დამუშავება, არამედ ასევე სამეცნიერო-

გამყრელიძე, ოთარ, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი – [www.dgstz.de](http://www.dgstz.de), 1/2016, 3-8; შალიკაშვილი, მორის/მიქანაძე, ვივი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016; ივანიძე, მაია/თოდუა, ნონა/ვარძელაშვილი, იოსებ/მანარობლიძე, თამარ, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, 2017.

<sup>4</sup> გამყრელიძე, ოთარ, როგორ იწყებოდა, 2008, გვ. 28-29.

<sup>5</sup> ნაჭყებია, გურამ/ლევკვიშვილი, მზია/თოდუა, ნონა/ივანიძე, მაია/ცქიტიშვილი, თემურ/მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქეთევან, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016.

<sup>6</sup> ვარძელაშვილი, იოსებ, სასჯელის მიზნები, 2016.

პრაქტიკული ხასიათის კონფერენციების ჩატარება, რაც საკვლევ საკითხებზე მეცნიერული დებატების გამართვისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელი უნდა იყოს მიმდინარე წლის 12-13 მაისს სისხლისსამართლებრივ სანქციებზე და მის შეფარდებაზე საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანული ფონდის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და თსუ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარებული ორდღიანი ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენციის მნიშვნელობა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და თსუ-ს თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის პროფესორებმა და მეცნიერ-თანამშრომლებმა. კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებით წარსდგნენ როგორც სამეცნიერო წრის წარმომადგენლები, ისე პრაქტიკოსები (ჰამბურგის სასამართლოს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი პალატა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო). კონფერენციას ესწრებოდნენ იურიდიული პროფესიების წარმომადგენლები: საქართველოს პარლამენტის წევრები, მოსამართლეები, ადვოკატები. საქართველოს პარლამენტის წევრები მიესალმნენ კონფერენციის მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ბოლო დროს საქართველოს პარლამენტის მიერ სისხლისსამართლებრივი სანქციების საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით განხორციელებული თუ დაგეგმილი ცვლილებები.

კონფერენციაზე წაკითხულმა თითოეულმა მოხსენებამ მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რამაც ხელი შეუწყო ცხარე დისკუსიის გამართვას. კონფერენციაზე პირველ მომხსენებლად წარსდგა ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი, რომელმაც საერთო ჯამში ორი მოხსენება წაკითხა. აქედან პირველი მოხსენება სისხლისსამართლებრივი სანქციების გერმანული სამართლის მიხედვით მიმოხილვას მიუძღვნა, რომელშიც ხაზი გაესვა გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის<sup>7</sup> მიხედვით

სანქციებთან დაკავშირებით გათვალისწინებულ რეგულაციებს, რომელიც, მიუხედავად ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალს შორის არსებული საერთო მახასიათებლებისა, მათ ერთმანეთისგან განასხვავებს. მოხსენებაში როგორც აღინიშნა, გერმანული სისხლის სამართალი სანქციების ორკვალიან სისტემას იცნობს: სასჯელებს და უსაფრთხოების და გამასწორებელ ღონისძიებებს. გარდა ამისა, ე. წ. გვერდითი შედეგების შეფარდების შესაძლებლობასაც. სანქციების ორკვალიანი სისტემა 1933 წლიდან, ნაციონალ-სოციალისტების დროიდან მომდინარეობს. თუმცა, იგი უფრო ადრეც იყო განსჯის საგანი. სანქციების ორკვალიანი სისტემის იდეა ჯერ კიდევ ფრანც ფონ ლისტმა თავის „მარბურგის პროგრამაში“ 1882 წელს გააჟღერა. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გერმანული სამართლის მიხედვით, სასჯელთან ერთად შეიძლება სამოქალაქო სამართლებრივი თუ საჯაროსამართლებრივი სანქციების გამოყენებაც. მოხსენებაში სასჯელის მოკლე განსაზღვრებაც იქნა წარმოდგენილი, რომლის მიხედვითაც, სასჯელი განიმარტა, როგორც ტკივილი, რომელიც სოციალურეთიკურ გაკიცხვას მოიცავს. მოხსენებაში აღინიშნა, რომ გერმანული სისხლის სამართალი ორ ძირითად სასჯელს იცნობს: თავისუფლების აღკვეთას და ჯარიმას. ამასთან ერთად ითვალისწინებს დამატებით სასჯელსაც მართვის უფლების აკრძალვის სახით. სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის სასჯელის შეფარდება ხდება გერმანული სსკ-ის მიხედვით, ხოლო არასრულწლოვნებისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით. გარდა ამისა, თავდაცვის კანონის მე-9 პარაგრაფი ითვალისწინებს პატიმრობის შეფარდებას ჯარისკაცებისთვის. მოხსენებაში გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალს შორის არსებული ერთ-ერთი განსხვავების სახით გამოიკვეთა ის, რომ პროფესიული (მაგალითად, საქემო) საქმიანობის აკრძალვა გერმანული სსკ-ის მიხედვით არა სასჯელის, არამედ სოციალური დაცვის ღონისძიებას წარმოადგენს. ქართული სსკ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას სასჯელის ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებს. განსხვავება არსებობს თავისუფლების აღკვეთის ვადებთან დაკავშირებითაც. გერმანული სსკ-ით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მინიმუმი ერთი თვე, ხოლო მაქსიმუმი 15 წელია. თუმცა, 6 თვეზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთა იშ-

<sup>7</sup> ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია, როგორც სსკ.

ვიათ შემთხვევებში გამოიყენება. მომხსენებელმა როგორც აღნიშნა, გერმანული სსკ-ით გათვალისწინებული სასჯელის მუქარა უფრო მსუბუქია, ვიდრე ქართული სსკ-ით გათვალისწინებული და ამის მაგალითად მოიშველია ქურდობისთვის განსაზღვრული სანქცია. გერმანული სსკ ქურდობის ძირითადი შემადგენლობისთვის (როცა სახეზე არ არის დამამძიმებელი გარემოება) გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მინიმუმს არ უთითებს, მაშინ როცა ქართული სსკ-ით იგი ერთი წლიდან იწყება. განსხვავება ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალს შორის არის დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნაშიც. დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა უპირობო შეკრებას არ აღიარებს როგორც გერმანული, ისე მოქმედი ქართული სსკ-იც, მაგრამ თუ ქართული სსკ-ით ყველაზე მკაცრი სასჯელი მსუბუქს შთანთქავს ან თანაბარი სიმკაცრის ერთი სასჯელი მეორეს, გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, მკაცრ სასჯელს ნაწილობრივ ემატება ნაკლებად მკაცრი. მაშასადამე, დამნაშავეს მხოლოდ ერთი დანაშაულისთვის გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელი კი არ ეფარდება, არამედ უფრო მეტი, ნაკლებად მკაცრი სასჯელის მკაცრი სასჯელისთვის ნაწილობრივ მიმატების გზით. მაგალითად თუ სამი დანაშაულია ჩადენილი და აქედან ერთი დანაშაულისთვის დაინიშნა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, მეორისთვის 2 წლით, ხოლო მესამისთვის 1 წლით, დამნაშავეს საბოლოოდ შეეფარდება არა 8 წლით, არამედ 6 წლით და რამოდენიმე თვით თავისუფლების აღკვეთა. მოხსენებაში ასევე წარმოჩინდა ქართულ და გერმანულ სამართალს შორის ის განსხვავებაც, რომელიც არსებობს თავისუფლების აღკვეთის პირობით დანიშვნასთან დაკავშირებით. იგი შეიძლება დაინიშნოს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში და შეუძლებელია მაღალი სანქციის პირობებში, თუნდაც ნაწილობრივ. გერმანული სისხლის სამართალი განსხვავდება აგრეთვე ჯარიმის შეფარდების წესითაც, რომელიც ჯარიმის დღიური ანაზღაურების სისტემას გულისხმობს. განსაზღვრულია ასევე დღიური ანაზღაურების ზედა ზღვარიც.

მომხსენებელმა მეორე მოხსენება მიუძღვნა თემას: „განსაკუთრებით მძიმე და შედარებით მსუბუქი შემთხვევები, როგორც სასჯელის დანიშვნის რეგულაცია“, რომელშიც აღინიშნა, რომ გერმანული სამართლის მიხედვით, განსაკუთრე-

ბით მძიმე და უფრო მსუბუქი შემთხვევები წარმოადგენს არა ნამდვილ კვალიფიციურ შემთხვევებს, არამედ სასჯელის დანიშვნის რეგულაციას. გერმანული სამართალი იცნობს სხვადასხვა რეგულაციას, რომელიც სასჯელის საკანონმდებლო ფარგლების შემცირებას ან გამკაცრებას იწვევს. სასჯელის დამამძიმებელ გარემოებათა კლასიფიკაცია გერმანულ სისხლის სამართალში იმაზეა დამოკიდებული, საქმე ეხება კვალიფიციურ შემთხვევებს, შედეგით კვალიფიკაციას თუ ისეთ დამამძიმებელ გარემოებებს, როცა, როგორც წესი, სახეზეა განსაკუთრებით მძიმე შემთხვევები. გერმანული სისხლის სამართალი იმითაც განსხვავდება, რომ იგი არ იცნობს ქმედების შემადგენლობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ისეთ დამამძიმებელ გარემოებას, რომელიც ქართული სსკ-ითაა გათვალისწინებული. მაგალითად, დანაშაულის ჩადენა განმეორებით, უკვე იგივე ქმედებისთვის ადრე ნაწამართლვევი პირის მიერ. აღნიშნული გარემოება მხოლოდ სასჯელის შეფარდებისას მიიღება მხედველობაში.

სისხლისსამართლებრივი სანქციები ქართული სისხლის სამართლის მიხედვითაც იქნა კონფერენციაზე მიმოხილული, რომელსაც მოხსენება თსუ-ს მონვეულმა პროფესორმა, დოქტორმა ქეთევან მჭედლიშვილმა-ჰედრიხმა მიუძღვნა, რომელმაც მოხსენებაში სისხლისსამართლებრივ სანქციებთან დაკავშირებით ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობებს შორის არსებულ მსგავსებასა თუ განსხვავებებზე ისაუბრა და ერთ-ერთ ასეთ განსხვავებად დასახელდა იურიდიული პირის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯად სუბიექტად გამოცხადება საქართველოში. საქართველოსგან განსხვავებით, გერმანიაში იურიდიულ პირს სამართლებრივი სანქცია შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (30-ე პარაგრაფი). გარდა ამისა, საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლში რეგლამენტირებულია სასჯელის მიზნები, განსხვავებით გერმანიის და არაერთი სხვა ევროპული ქვეყნის სსკ-გან. ქართული სსკ-ით სასჯელის მიზნებია: სამართლიანობის აღდგენა, დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. მაშინ როდესაც მატერიალური სსკ სასჯელის ერთ-ერთ მიზნად სამართლიანობის აღდგენას ასახელებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი სასჯელის ასეთ მიზანს არ იცნობს, ვინაიდან



არასრულწლოვნის მიმართ სასჯელს უფრო მეტად აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს. არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის შეფარდებული სასჯელი უფრო მეტად მიმართულია არა წარსულისკენ, არამედ მომავლისკენ. თუმცა, დაზარალებული არასრულწლოვნის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზანს, მომხსენებელი, სამართლიანობის აღდგენის მიზნის საპირწონედ მიიჩნევს. მომხსენებელმა კრიტიკულად განიხილა სანქციებთან დაკავშირებული ზოგიერთი ქართული რეგულაცია და კანონიერების პრინციპთან შეუსაბამოდ მიიჩნია ის, რომ სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილით ჯარიმის დამატებით სასჯელად დანიშვნა მაშინაც არის შესაძლებელი, როცა სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი ჯარიმას საერთოდ არ ითვალისწინებს. 42-ე მუხლი ჯარიმის მხოლოდ ქვედა ზღვარს განსაზღვრავს და ზედა ზღვარს არ უთითებს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას მოსამართლის თვითნებობის საფრთხეს შეიცავს. კრიტიკული შენიშვნა იქნა გამოთქმული იმასთან დაკავშირებითაც, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს თავისუფლების აღკვეთის ზომა 30 წელს, ხოლო განაჩენთა ერთობლიობისას 35 წელს შეიძლება აღწევდეს, რაც სასჯელის საკმაოდ მაღალ ზომას წარმოადგენს და ხელისშემშლელი შეიძლება იყოს მსჯავრდებულის რესოცი-ალიზაციისთვის.

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სანქციების საკანონმდებლო რეგულირებას, არამედ მათ სა-მოსამართლო გამოყენებასაც მიეძღვნა. ამ მხრივ, აღსანიშნავია თსუ-ს ასოცირებული პროფესორის, დოქტორ *მორის შალიკაშვილის* მოხსენება, რომელმაც სასჯელების გამოყენების სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით მიმოიხილა სასჯელის გამოყენების პრაქტიკა. მოხსენებაში ჯარიმის გამოყენების სირთულის განმაპირობებელ მიზეზად მსჯავრდებულთა უმუშევრობის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90 %) დასახელდა. ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ხელშემშლელ პირობად მიჩნეულ იქნა შრომისადმი მსჯავრდებულის დამოკიდებულება, პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობა და კრიმინალური მენტალობა. თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ძირითად პრობლემად კი წარმოჩინდა გრძელვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი (91 %).

სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით თავის მოხსენებაში განიხილა ტიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტის პროფესორმა, კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, დოქტორმა *იორგ კინციგმა*, რომელმაც სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელი გარემოებები და სასჯელის შეფარდების 8 ფაზა მიმოიხილა. მომხსენებელმა ისაუბრა ბრალზე, როგორც სასჯელის შეფარდების საფუძველზე, ბრალის და სასჯელის ურთიერთმიმართების საკითხზე და მასთან დაკავშირებით გამოთქმულ სხვადასხვა შეხედულებებზე, რომელიც შეეხება ბრალის მიხედვით სასჯელის ზომის აბსოლუტურ თუ შეფარდებით განსაზღვრის შესაძლებლობებს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გაბატონებული შეხედულების (*Spielraumtheorie*) თანახმად, ბრალთან თანაზომიერების ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. მაშასადამე, ბრალი არ არის სასჯელის ზომის ზუსტი სიდიდე. ამიტომაც მოსამართლეს ეძლევა მიხედულების ფარგლები, რომელშიც უნდა მოხდეს სასჯელის ბრალთან შესაბამისობის განსაზღვრა. ბრალის შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს სასჯელის არა ზუსტი ზომა, არამედ სასჯელის ქვედა და ზედა ზღვარი და მხოლოდ ამ ფარგლებისადმი შეუსაბამობა განიმარტება ბრალთან შეუსაბამობად. აღნიშნულ ფარგლებში სასჯელის შეფარდების დროს შესაძლებელია ასევე პრევენციული მიზნების გათვალისწინება. მაგრამ, სპეციალურპრევენციული თვალსაზრისით, შესაძლებელია ბრალის ქვედა ზღვარზე უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდება. მოხსენებაში სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ გარემოებათა შეფასების მიმართულების დადგენასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გარკვეული გარემოება შეიძლება ბრალის თვალსაზრისით სხვაგვარად შეფასდეს ვიდრე პრევენციული თვალსაზრისით. მაგალითად, როცა მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი პირი ერთ ბოთლ ალკოჰოლურ სასმელს მოიპარავს, მძიმე ეკონომიკური პირობები ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიღება მხედველობაში. ხოლო სპეციალურპრევენციული თვალსაზრისით, შესაძლებელია იმ დასკვნამდე მისვლა, რომ დამნაშავესთვის მკაცრი სასჯელის შეფარდებაა საჭირო, ვინაიდან მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე დანაშაულის განმეორების მაღალი საშიშროება არსებობს და დამნაშავე შემდგომ დანაშაულებრივ ქმე-

დებებთან დაკავშირებით უნდა იქნას დაშინებული. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნულ შემთხვევაში საკითხი კანონის და მიხედვლების თავისუფლების თეორიის (Spielraumtheorie) ფარგლებში კარგად შეიძლება გადაწყდეს, ვინაიდან სასჯელის ყველა მიზანი არ არის თანაბარი მნიშვნელობის და პრევენციული თვალსაზრისი ბრალის ფარგლებში მიიღება მხედველობაში. გარდა ამისა, მომხსენებელმა მიმოიხილა, გერმანული სსკ-ის 46-ე პარაგრაფით გათვალისწინებული გარემოებები, რომლებიც მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს და თითქმის ანალოგიურია საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებებისა. თუმცა, გერმანული სსკ-ის 46-ე პარაგრაფსა და ქართული სსკ-ის 53-ე მუხლს შორის არსებობს გარკვეული სხვაობაც. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლში არ არის ხაზგასმით იმაზე, რომ სასჯელის შეფარდების საფუძველი ბრალია. სასჯელი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი შედეგია, ხოლო დანაშაული ბრალის გარეშე არ არსებობს, რაც სასჯელის შეფარდებისთვის ბრალის მნიშვნელობაზე ლოგიკურად მეტყველებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, უმჯობესი იქნებოდა, თუ სასჯელის შეფარდების ზოგად საწყისებთან დაკავშირებით ქართულ სსკ-ში, გერმანული სსკ-ის მსგავსად, ხაზგასმით იქნებოდა ბრალის მნიშვნელობაზე. მოხსენებაში განხილვის საგანს წარმოადგენდა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დასაშვებია გენერალურპრევენციული ასპექტების გათვალისწინება სასჯელის შეფარდების დროს და აღნიშნა, რომ ლიტერატურაში სამართლიანადაა გაკრიტიკებული ნეგატიური გენერალური პრევენციის გათვალისწინება საზოგადოების დაშინების სახით. გენერალურ პრევენციას ნეგატიურის გარდა პოზიტიური ასპექტიც გააჩნია, რაც მართლწესრიგის დაცვაში მდგომარეობს. მაშინ, როცა ნეგატიური გენერალური პრევენციის გათვალისწინება სასჯელის შეფარდების დროს დაუშვებელია, მოხსენებაში გამოთქმული თვალსაზრისით, პოზიტიური გენერალური პრევენციის კომპონენტების გათვალისწინება შესაძლებელია. თუმცა, მომხსენებელმა როგორც აღნიშნა, მართლმსაჯულება დასაშვებად მიიჩნევს სასჯელის შეფარდების დროს ნეგატიური გენერალური პრევენციის ასპექტების გარკვეულ ფარგლებში გათვალისწინებას სასჯელის ბრალთან შესაბამისობის დაცვით, მაგრამ ეს უნდა იყოს საჭირო საზოგადოების

დაცვისთვის. ასეთ შემთხვევებზე მომხსენებელმა დაასახელა მოკლე ვადიანი ტურიზმი ქურდობის მიზნით, ტერორისტულ ან დაქირავებულ ჯგუფში მონაწილეობის მიზნით. აგრეთვე ქვეყნის განსაზღვრულ რაიონში ერთი და იგივე სახის დანაშაულთა ჩადენა, რაც საზოგადოებას საფრთხეს უქმნის. მოხსენებაში ყურადღება იქნა გამახვილებული საზოგადოებაში დამნაშავის მომავალი თანაცხოვრებისთვის სასჯელის ზეგავლენის გათვალისწინების მნიშვნელობაზე, რომლის თანახმადაც, სასჯელი ისე უნდა განისაზღვროს, რომ მან მანამდე კარგად სოციალიზებული დამნაშავის დესოციალიზაცია არ გამოიწვიოს. მოხსენებაში სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული სხვა ისეთი საკითხიც იქნა განხილული, რომელიც ასევე განასხვავებს გერმანულ და ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობას. მაგალითად, დანაშაულში დამხმარის სახით მონაწილეობა სასჯელის შემსუბუქების საფუძველს წარმოადგენს. მართალია, ქართული სსკ-ის 25-ე მუხლის მიხედვითაც, ამსრულებელს და თანამონაწილეს პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარი ბრალისთვის ეკისრებათ ანუ დანაშაულის მონაწილეები განსხვავებული სიმკაცრით ისჯებიან, მაგრამ ქართულ სსკ-ში არსად არის მოცემული მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ დამხმარის სახით მონაწილეობა დამხმარისთვის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს. ბატონი კინციგი კონფერენციაზე მეორე მოხსენებითაც წარსდგა, რომელიც მიეძღვნა გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით გამასწორებელი და უსაფრთხოების ღონისძიებებს, რომელშიც მიმოიხილულ იქნა სანქციების ორკვალადიანი სისტემა, გამასწორებელი და უსაფრთხოების ღონისძიების სახეები, მათი გამოყენების თავისებურებები.

თსუ-ს ემერიტუსმა პროფესორმა გურამ ნაჭყეტიამ მოხსენება წაიკითხა სისხლისსამართლებრივ სანქციებსა და დამნაშავის რესოციალიზაციაზე. აღნიშნული მოხსენება მეტად საინტერესო იყო როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დამნაშავის რესოციალიზაცია სასჯელის ერთ-ერთ მიზანადაა რეგლამენტირებული ქართული სსკ-ის 29-ე მუხლში. როგორც ცნობილია, სასჯელს პრევენციული ფუნქცია გააჩნია. ერთმანეთისგან განასხვავებენ ზოგად ანუ გენერალურ და სპეციალურ ანუ კერძო პრევენციას. დამნაშავის რესოციალიზაცია კერძოპრევენციული მიზანია, რომელიც დამნაშავის

საზოგადოებაში დაბრუნებას და სასჯელის აღსრულების დროს მსჯავრდებულის სასჯელის გარეშე ცხოვრებისთვის მომზადებას გულისხმობს. დამნაშავეს რესოციალიზაცია სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდანაც გამომდინარეობს და კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. მომხსენებელმა თავის მოხსენებაში იმსჯელა უვადოდ თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის უმკაცრესი ზომის მიმართებაზე დამნაშავეს რესოციალიზაციასთან. მომხსენებლის თვალსაზრისით, უვადოდ თავისუფლების აღკვეთა დამნაშავეს რესოციალიზაციის მიზანს არ შეესაბამება და გამოთქვა აზრი, რომ შეიძლება მიზანშეწონილი იყოს აღნიშნული სასჯელის გაუქმება და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის უმაღლესი ზღვარის შემცირება 15 წლამდე. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საკითხი არაერთხელ გამხდარა კამათის და განსჯის საგანი. როგორც გერმანიის<sup>8</sup>, ისე საქართველოს<sup>9</sup> საკონსტიტუციო სასამართლოებს ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება აქვთ გამოთქმული. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, უვადოდ თავისუფლების აღკვეთის დროსაც აქვს დამნაშავეს რესოციალიზაციის შესაძლებლობა, ვინაიდან კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირსაც შეუძლია სასჯელისგან გათავისუფლება.

სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით განიხილა თსუ-ს პროფესორმა, დოქტორმა ნონა თოდუამ, რომელიც მოხსენებაში შეეხო სასჯელის დანიშვნის მხოლოდ ერთ პრობლემატურ საკითხს, რომელიც დადგა ქართული სასამართლო პრაქტიკის წინაშე. კერძოდ, შეიძლება თუ არა მოსამართლემ დამნაშავეს შეუფარდოს ისეთი სასჯელი, რომელსაც იცნობს მოქმედი სსკ-ის სასჯელთა სისტემა (ქართული სსკ-ის მე-40 მუხლი), მაგრამ არ არის გათვალისწინებული სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით, რომლითაც ქმედება კვალიფიცირდება. აღნიშნული საკითხი მას შემდეგ წამოიჭრა ქართულ

სასამართლო პრაქტიკაში, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სსკ-ის 260-ე მუხლით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შექმენა-შენახვისთვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა არაპროპორციულ სასჯელად მიიჩნია, ხოლო აღნიშნული მუხლი დასახელებული ქმედებისთვის სხვა სახის სასჯელს არ ითვალისწინებდა. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სასჯელის დაუნიშნავად პირის დამნაშავედ ცნობაზე. უზენაესმა სასამართლომ ასეთი სახის სხვა გადაწყვეტილებებიც მიიღო, რომლებიც აქტიური განსჯის საგნად იქცა როგორც ქართველ იურისტებში, ისე ქართულ-გერმანულ კონფერენციაზეც. პროფესორ ნონა თოდუას თვალსაზრისით, უზენაეს სასამართლოს ქმედება სასჯელის დაუნიშნავად არ შეიძლებოდა დანაშაულად ეცნო. მისი პოზიციით, სასამართლოს მსჯავრდებულისთვის უნდა დაენიშნა უფრო მსუბუქი, სხვა ალტერნატიული სასჯელი, რომელიც, მართალია, არ არის გათვალისწინებული 260-ე მუხლით, მაგრამ მოცემულია მე-40 მუხლში, სსკ-ის ზოგად ნაწილში. კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო მსჯავრდებულს სასჯელს უნიშნავს სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, ზოგადი ნაწილის დებულებათა შესაბამისად, მაგრამ მომხსენებლის თქმით, ეს ეხება მხოლოდ სასჯელის დანიშვნის ორდინალურ შემთხვევებს. ნ. თოდუას გაუმართლებლად მიაჩნია ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა სასჯელის დაუნიშნავად, ვინაიდან მისი აზრით, იგი ვერ შეასრულებს პრევენციულ ფუნქციას.

მას შემდეგ, რაც საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი იქნა მიღებული, არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის სასჯელის დანიშვნას სწორედ აღნიშნული კოდექსი არეგულირებს. არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის სასჯელის დანიშვნა მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. სწორედ ამ თავისებურებებს მიუძღვნა თავისი მოხსენება თსუ-ს პროფესორმა, დოქტორმა მაია ივანიძემ, რომელმაც მოხსენებაში მიმოიხილა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარების ისტორია და ხაზი გაუსვა იმ განსხვავებებს, რომელიც არსებობს სრულწლოვან და არასრულწლოვან მსჯავ-

<sup>8</sup> Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts (BVerfGE), 45. Band, 1978, 239. ასევე იხ. შვაბე, იურგენ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ქართული თარგმანი, 2011, გვ. 15-16.

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილება, 24-ე პუნქტი.

რდებულთათვის სასჯელის დანიშვნის საკანონმდებლო რეგულირებებს შორის. კრიტიკულად იქნა განხილული არასრულწლოვანთა საქმის განხილვის გაშუქება სატელევიზიო საშუალებებით, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, ისე მოზარდზე. მომხსენებელმა ასევე გააკრიტიკა სასჯელის შეფარდების დროს სასამართლოების მიერ იმ გარემოებათა არც ისე ღრმა ანალიზი, რომელიც საფუძვლად ედება სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრას, რაც სასჯელის დანიშვნის ნაწილში სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ნაკლოვანებაზე მეტყველებს. მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე და მის მნიშვნელობაზე, აგრეთვე არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზებზე.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენებას ეხებოდა ასევე თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორის, დოქტორ *ირინე ხერხეულიძის* მოხსენება, რომელმაც ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასრულწლოვანთა „საუკეთესო ინტერესის“ მნიშვნელობაზე. მომხსენებლის თვალსაზრისით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და იგი მოითხოვს დამსჯელობითის ნაცვლად, ისეთი ღონისძიებების პრიორიტეტულობას, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩამდენი ბავშვის რეინტეგრაციას. ამის გამოხატულებას წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლი, რომელიც სასჯელის მიზნებიდან აქცენტს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაზე აკეთებს. არასრულწლოვანთა სასჯელის დასახელებული მიზნებიდან გამომდინარე, პატიმრობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში და მხოლოდ მძიმე დანაშაულებზე უნდა იქნას გამოყენებული. უპირატესობა უნდა მიენიჭოს განრიდებას და აღდგენით მართლმსაჯულებას, თუ იგი უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში სამართლიანობის აღდგენა სასჯელის მიზნად არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან არასრულწლოვნის

დასჯა ემსახურება არა სამართლიანობის აღდგენას, არამედ თვით არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

სასჯელის შეფარდების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია სამართლებრივი პრინციპების დაცვა. ერთ-ერთ ასეთ პრინციპს წარმოადგენს პროპორციულობის პრინციპი, რომელიც კონსტიტუციური რანგისაა. ვინაიდან სასჯელი სამართლებრივი სიკეთის დაცვის *ultima ratio* საშუალებაა, მნიშვნელოვანია თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინება როგორც სასჯელის საკანონმდებლო განსაზღვრის, ისე სასჯელის შეფარდების ეტაპზე. მოცემული პრინციპის დაცვა იმიტომ არის მნიშვნელოვანი სასჯელის შეფარდების დროს, რომ სასჯელი ადამიანის უფლების შეზღუდვას უკავშირდება. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეძღვნებოდა თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის *ედიშერ ფუტკარაძის* მოხსენება, რომელმაც თავის მოხსენებაში ისაუბრა როგორც პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობაზე, ისე იმ გარემოებებზე, რომელთა გათვალისწინება სასჯელის დანიშვნის დროს აუცილებელია მოსამართლის მიერ მსჯავრდებულისთვის პროპორციული სასჯელი შესაფარდებლად. ამ მხრივ, აღსანიშნავია დამნაშავის ბრალის და მისი პიროვნების საკითხი. მომხსენებელმა, მართებულად აღნიშნა, რომ დამნაშავის ბრალის გათვალისწინება სასჯელის პროპორციულობის აუცილებელი წინაპირობაა. მოხსენებაში სასჯელის პროპორციულობასთან დაკავშირებით იქნა განხილული ორჯერ შეფასების აკრძალვის და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპები და მათი მნიშვნელობა. მოხსენებაში ყურადღება დაეთმო აგრეთვე სასჯელის სამართლიანობას, სამართლიანობის და პროპორციულობის ურთიერთმიმართებას.

სრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას პროპორციულობის პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ ჩნდება კითხვა, არის თუ არა დასახელებული პრინციპი ასეთივე მნიშვნელობის არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის სასჯელის დანიშვნის დროს? სწორედ აღნიშნული საკითხი განიხილა თავის მოხსენებაში ჰამბურგის მიწის სასამართლოს არასრულწლოვანთა პალატის თავმჯდომარემ და მოსამართლემ *ანნე მაიერ-გიორნინგმა*, რომელმაც აღნიშნა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პროპორციულობის პრინციპის მიხედვით

არ ხდება სასჯელის განსაზღვრა, ვინაიდან სასჯელს უფრო მეტად აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს, სრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის დასაწინიშნ სასჯელთან შედარებით. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მე-7 მუხლი) თანაზომიერებას ერთ-ერთ პრინციპად აღიარებს<sup>10</sup>.

სასჯელის პროპორციულობის საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით განიხილა ამავე სასამართლოს მოსამართლემ, თსუ-ს პროფესორმა, დოქტორმა *მერაბ ტურავამ*, რომელმაც განიხილა ბოლო პერიოდში სასჯელის პროპორციულობასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც ნარკოტიკულ დანაშაულთა დასჯადობას, სასჯელის სიმკაცრის გადახედვას და ნარკოტიკული პოლიტიკის ლიბერალიზაციას შეეხებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ნარკოტიკული დანაშაულებისთვის განსაზღვრული სასჯელების პროპორციულობის საკითხი განიხილა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებით, რომელიც ადგენს არაჰუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახავი სასჯელის გამოყენების აკრძალვას.

სასჯელის პროპორციულობა ფართო თემაა და იგი უკავშირდება ვითარების შეცვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხსაც. აღნიშნული საკითხი იქნა განხილული თსუ თინათინ ნერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილების გამგის, ამავე ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის, დოქტორ *ოთარ გამყრელიძის* მოხსენებაში, რომელმაც ერთმანეთისგან გამიჯნა პასუხისმგებლობის გამომრიცხავი სხვადასხვა გარემოებები და ისინი დაყო მართლწინააღმდეგობის, ბრალის გამომრიცხავ და ისეთ გარემოებებად, რომელიც სსკ-ში არ არის გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხავ გარემოებად, მაგრამ მაინც იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხვას ან სასჯელისგან გათავისუფლებას.

ასეთ გარემოებას წარმოადგენს ვითარების შეცვლა. ზოგჯერ სსკ კრძალავს ისეთ ქმედებას, რომლის დასჯადობის მიზანშეწონილობა ისეთი მდგომარეობითაა განპირობებული, რომელიც დროის გასვლის შემთხვევაში იცვლება და შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ქმედების დეკრიმინალიზაციის საკითხი, მაგრამ ამას გარკვეული დრო სჭირდება. სანამ კანონმდებელი ქმედების დეკრიმინალიზაციას მოახდენს, სსკ-ში ისევ რჩება ნორმა, რომელიც ქმედებას დასჯადად აცხადებს, მაგრამ ეს ქმედება ვითარების შეცვლის გამო კარგავს სოციალურ საშიშროებას. მომხსენებელმა ასეთი შემთხვევის მაგალითად დაასახელა მეორე მსოფლიო ომის დროს შუქშენილვასთან დაკავშირებით სსკ-ში სპეციალური ნორმის შემოტანა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ცოტა დაგვიანებით ამოიღეს კოდექსიდან, მაშინ, როცა ის საფრთხე გავლილი იყო, რის გამოც დასახელებული აკრძალვა დანესდა. ასეთ ვითარებაში მოსამართლეს შეუძლია არ დაელოდოს კანონმდებელს და პირი გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისგან. ვითარების შეცვლის გამო პირის სასჯელისგან გათავისუფლების საკითხი შეიძლება დადგეს სხვა შემთხვევაშიც, როცა ქმედება ზოგადად რჩება დასჯის ღირსი, მაგრამ კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, განსაზღვრული პირების დასჯა ვითარების შეცვლის გამო არაპროპორციული ხდება და იქმნება სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველი. ამის მაგალითად შეიძლება დასახელებდეს აღმოსავლეთ გერმანიის ჯაშუშთა საქმე<sup>11</sup>, რომლებმაც, გერმანია ორად რომ იყო გაყოფილი, დასავლეთ გერმანიაში ჯაშუშური საქმიანობა განახორციელეს, მაგრამ გერმანიის გაერთიანების შემდეგ მათი სასჯელისგან გათავისუფლების საკითხი დადგა გერმანიისადმი მოქალაქეობრივი კუთვნილების გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში ორი გარემოება იყო მნიშვნელოვანი: ყოფილ ჯაშუშთა მოქალაქეობრივი კუთვნილება და ორად გახლეჩილი გერმანიის ისევ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, რომელიც ვითარების შეცვლაზე მიუთითებდა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომაც დაუჭირა მხარი აღმოსავლეთ გერმანიის ყოფილი ჯაშუშების სასჯელისაგან გათავისუფლებას.

<sup>10</sup> იხ. *შალიკაშვილი, მორის/მიქანაძე, გივი*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, გვ. 79.

<sup>11</sup> იხ. *Weigend, Thomas*, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit als Grenze staatlicher Strafgewalt, Hirsch-FS, 1999, S. 917 ff.

ბას სასჯელის პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე.

სასჯელის შეფარდების და სასჯელთა საკანონმდებლო რეგულირების ერთ-ერთ საყურადღებო თემას წარმოადგენს შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც კონფერენციაზე განხილულ იქნა როგორც ქართული, ისე გერმანული სსკ-ის მიხედვით. მაშინ, როდესაც გერმანული სამართლის შესაბამისად განსაკუთრებით მძიმე და შედარებით მსუბუქი შემთხვევები პროფ. დოქტორმა ბერნდ ჰაინრიხმა განიხილა, ქართული სამართლის მიხედვით, დასახელებული თემა თავიანთ მოხსენებებში განიხილეს თსუ-ს ასოცირებული პროფესორმა, დოქტორმა ირაკლი დვალიძემ და თსუ-ს ასისტენტ-პროფესორმა, დოქტორმა თემურ ცქიტვილიმა.

თემურ ცქიტვილიმა მოხსენებაში აღნიშნა, რომ სსკ-ით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით ქართული საკანონმდებლო რეგულირება გერმანულისგან განსხვავდება. მაშინ, როცა გერმანული სისხლის სამართალი ერთმანეთისგან მიჯნავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, ქართულ სისხლის სამართალში ისინი სინონიმებად გამოიყენება, ვინაიდან სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებას იგივე მაკვალიფიცირებელი გარემოების სახელწოდებით აღნიშნავენ. მაშინ, როცა გერმანულ სსკ-ში განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა შეიძლება არც იყოს დაკონკრეტებული და მოსამართლემ უნდა დაადგინოს კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი გარემოების არსებობა, ქართულ სისხლის სამართალში დამამძიმებელი გარემოებები შესაბამის კვალიფიცირებულ შემადგენლობებში უფრო მეტად არის დაკონკრეტებული და მოსამართლის მიხედულებაზე ნაკლებადაა დამოკიდებული იმის დადგენა, არის თუ არა სახეზე დამამძიმებელი გარემოება. მართალია, არსებობს ისეთი დამამძიმებელი გარემოებებიც, რომლებიც უფრო მეტად შეფასებითია, ვიდრე აღწერილობითი (მაგალითად, ქმედებით გამოწვეული „მძიმე შედეგი“), მაგრამ ასეთ დროსაც კი ქართული სსკ-ი დამამძიმებელ გარემოებას შედარებით მეტად აკონკრეტებს მისი ტიპის განსაზღვრით (კერძოდ, საქმე ეხება შედეგის, როგორც ობიექტური ნიშნის, სიმძიმეს).

ასოცირებულმა პროფესორმა, დოქტორმა ირაკლი დვალიძემ მოხსენებაში განიხილა შემამსუ-

ბუქებელი გარემოებები ქართული სსკ-ის მიხედვით და ისინი დაყო შემდეგ ჯგუფებად: გარემოებანი, რომლებიც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას მხედველობაში არ მიიღება და გარემოებანი, რომლებიც იმთავითვე ქმნიან პრივილეგირებულ ქმედების შემადგენლობას. ხოლო ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი გარემოებები დააჯგუფა ბრალის ნიშნებზე აგებულ და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებთან დაკავშირებულ შემამსუბუქებელ ნიშნებად, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალის ან სისხლისსამართლებრივი უმართლობის ხარისხზე. მოხსენებაში ხაზი გაესვა შემამსუბუქებელ გარემოებათა ამგვარი კლასიფიკაციის პრაქტიკულ მნიშვნელობასაც.

კონფერენციის ბოლო ბლოკში ერთგვარი დასკვნითი მოხსენებით წარსდგა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დოქტორი იოსებ ვარძელაშვილი, რომელმაც მიმოიხილა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის პრაქტიკა. მომხსენებელი კრიტიკულად განიხილავს დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის საკანონმდებლო რეგულირებას და პრაქტიკას, რომელიც გულისხმობს სასჯელის დანიშვნას უპირობო შთანთქმის პრინციპის საფუძველზე, რაც უსამართლო შედეგს იძლევა, ვინაიდან იმასაც, ვინც მხოლოდ ერთი მძიმე დანაშაული ჩაიდინა და იმას, ვინც მძიმესთან ერთად ნაკლებად მძიმე დანაშაულიც განახორციელა, თანაბარი სასჯელი ენიშნებათ, რამდენადაც უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ე. ი. მძიმე დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის დანიშნულ სასჯელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორი დანაშაულის ჩამდენი სამართლებრივი შედეგებით უთანაბრდება ერთი დანაშაულის ჩამდენს.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები კარგ შესაძლებლობას იძლევა სანქციებთან დაკავშირებით ქართული და გერმანული სისხლის სამართლის შედარებისთვის, რაც ხელს უწყობს იმის უკეთ დანახვას, თუ რა ნაკლოვანებებს შეიცავს ქართული კანონმდებლობა, პრაქტიკა და რა შეიძლება გაკეთდეს მომავალში აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაძლევისთვის, კანონმდებლობის და პრაქტიკის სრულყოფისთვის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კონფერენციის ჩატარება დაემთხვა ქართულ-გერმანული მეგობ-

რობის წელს. ის ფაქტი, რომ კონფერენცია ჩატარდა ქართველ და გერმანელ იურისტ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მონაწილეობით, დასტურია იმისა, თუ როგორ წარმატებით გრძელდება ქართულ-გერმანული თანამშრომლობა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქართული სისხლის სამართლის განვითარებისთვის, რომელიც ტრადიციულად განიცდის გერმანული სამართლის ზეგავლენას<sup>12</sup>.

---

<sup>12</sup> აღნიშნულ ზეგავლენაზე უფრო ვრცლად იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, წიგნში: *გამყრელიძე, ოთარ*, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998, გვ. 246-256.